ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№242 (301) 22-29 ოქტომბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

წინასაარჩევნო ფიქრები...

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ

– კვირას, 27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები შედგება. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გამოიკვეთა სამი ძირითადი კანდიდატი – მარგველაშვილი, ბურჯანაძე და ბაქრაძე, რომელთა შორისაც, სავარაუდოდ, გაიმართება ბრძოლა პრეზიდენტის თანამდებობის მოსაპოვებლად. დღეს ბევრს აინტერესებს თქვენი აზრი – რომელი მათგანი იმსახურებს ხალხის მხარდაჭერას, რომელს უნდა ვენდოთ?

– სიმართლე გითხრათ, მე ამ არჩევნებს არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ. პრეზიდენტის თანამდებობა იქცა ბუტაფორიად, ვიღაც ერთი ადამიანისა და მისი უახლოესი გარემოცვისათვის კომფორტული პირობების შექმნის ფორმად. თუ გახსოვთ, მე ვთავაზობდი საქართველოს ხელისუფლებას, რომ პრეზიდენტს დავალებოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მუშაობა, როგორიცაა რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთიერთობების მოწესრიგება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სამწუხაროდ, ჩემი მოსაზრება არ იქნა გაზიარებული. ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტის ინსტიტუტი აირჩია. დღეს ამ თანამდებობას კიდევაც რომ დაეუფლოს სათანადო ღირსებებითა და შესაძლებლობებით შემკული ადამიანი, იგი მაინც ვერავითარ სასარგებლო საქმეს ვერ გააკეთებს, ვინაიდან ქვეყანაში რეალური ძალაუფლება ეკუთვნით ისეთ სტრუქტურებს, როგორებიც არიან რესპუბლიკური პარტია, **“თავისუფლების ინსტიტუტი”**, სოროსის სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ივანიშვილმა მოიყვანა პარლამენტში და მთავრობაში და ახლა მათ უტოვებს ქვეყნის მართვის სადავეებს. ფაქტიურად, ეს იგივე ძალაა, რომელიც ქვეყანას მართავდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ნაციონალური მოძრაობა ამ ძალის ერთ ფრთას წარმოადგენს, ივანიშვილის კოალიცია კი – მეორე ფრთას. რამდენიმე წლის წინ ზუსტად ამ მეთოდით ჩამოშორდა სააკაშვილი-ჟვანიაბურჯანაძის დაჯგუფება მოქალაქეთა კავშირს. ამ დაჯგუფებებმა, პარტიებმა თუ მოძრაობებმა ფესვები მოქალაქეთა კავშირში, სოროსის სტრუქტურებში გაიდგეს და მათ ერთი ხელმძღვანელი ჰყავთ – ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. ამ ადამიანებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლად მოქმედების უნარი და შესაძლებლობა.

– პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი თავდაჯერებულად აცხადებს, რომ გადაჭრის საქართველოს უმთავრეს პრობლემებს – დაამყარებს ნორმალურ ურთიერთობებს რუსეთთან, გაიყვანს რუსულ სამხედრო ბაზებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ააღორძინებს ეკონომიკას.

– მინდა იმ ადამიანს ჩავხედო თავში, ვისაც ამ დაპირებების სჯერა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილი მზადაა ირწმუნოს ამგვარი სიცრუე, რადგან დაჰკარგა სიტუაციის გაანალიზების უნარი. არა და, სულაც არ არის ძნელი ამგვარი დაპირებები ამ დემაგოგების წარსულ საქმიანობას შეადარო და შესაბამისი დასკვნები გააკეთო. მაგრამ ხალხის დიდ ნაწილს ურჩევნია, რომ ლამაზი ტყუილი ირწმუნოს.

არცერთ ზემოთჩამოთვლილ კანდიდატს არ გააჩნია იმის პოლიტიკური რესურსი, რომ რუსეთის ხელისუფლება მათთან დიალოგზე წავიდეს და რაიმე სერიოზული საკითხი განიხილოს. აღარაფერს ვამბობ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ წრეებზე, რომელთათვისაც ეს ადამიანები კატეგორიულად მიუღებელი არიან.

– მაგრამ 27 ოქტომბერს მოქალაქეები მივლენ საარჩევნო უბნებზე. მათ უნდა შემოხაზონ რომელიმე ნომერი. როგორ მოიქცნენ?

– არჩევნებში, ალბათ, ამომრჩეველთა მცირე ნაწილი მიიღებს მონაწილეობას. მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს დამცირებულად გრძნობს მათთვის ამგვარი უსარგებლო, ნაკლები შესაძლებლობების მქონე კანდიდატების თავს მოხვევის გამო. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ საქართველოს პოლიტიკური კლასი დეგრადირებული და ქმედითუუნაროა, მეორე მხრივ კი, მათ ზურგს უკან მდგარი სუფლიორები დარწმუნებული არიან, რომ ხალხი მაინც მოვა არჩევნებზე და ხმასაც მისცემს, რადგან მასა, მათი აზრით, მოკლებულია ფიქრის, ანალიზის, ეროვნული ინტერესების შემეცნების უნარს. მოგეხსენებათ, კოლონიზატორი, ყოველთვის, როგორც ბრიყვებს ისე ეპყრობა კოლონიის მოსახლეობას, რომელზეც, მისი აზრით, საკუთარი ნების თავს მოხვევა ადვილია.

დღეს საქართველოს კულისებმიღმა მდგარი პატრონების წინაშე დგას საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემა. ნათელია, რომ დღევანდელი პარლამენტისათვის არავის მიუცია ხმა. ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს, რომელმაც ხელისუფლებაში ის ძალა მოიყვანა, რომლის მოყვანაც მას დაავალეს – საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მესამე ეშელონი, რომელიც დამოუკიდებლად ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებდა არჩევნებში. პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ ამ პარლამენტის ლეგიტიმურობა ნულის ტოლი იქნება. იგივეა მთავრობის ლეგიტიმურობის დონეც, რომელიც ამ არალეგიტიმურმა პარლამენტმა დაამტკიცა. ამიტომაა აუცილებელი პრეზიდენტი აირჩიოს ხალხის უმრავლესობამ და მიღწეული იქნას მისი ლეგიტიმაცია მაინც. ვინ იქნება ეს ადამიანი, საქართველოს უცხოელ პატრონებს ნაკლებად აინტერესებთ. მათ ხელს აძლევს ნებისმიერი ზემოთდასახელებული კანდიდატის გამარჯვება. მთავარია, რომ იგი იყოს ლეგიტიმური და ხალხის სახელით მოაწეროს ხელი ქაღალდებს. ამიტომ სჭირდებათ მათ ხალხის მეტი აქტიურობა არჩევნებზე.

– მოსახლეობის რაღაც ნაწილი არჩევნებზე მაინც მივა. როგორ არჩევანს შესთავაზებდით მათ?

– დაე აირჩიონ ის ადამიანი, ვისთვისაც სურთ კომფორტული ცხოვრების მოწყობა უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. მაგალითად, კანდიდატებს შორის არის ერთი სიმპათიური პენსიონერი. სამწუხაროდ, მის გვარს ვერ ვიხსენებ, მაგრამ იგი ხალხს ჰპირდება, რომ ბავშვების პრეზიდენტი იქნება, ყველა უმუშევარს კი სიგარეტის ფულით დაეხმარება. ეს ადამიანი ღირსია, რომ სიცოცხლის ბოლო უზრუნველად და სიამოვნებაში გაატაროს. სულ ერთია, პრეზიდენტი მაინც მოსახლეობამ უნდა შეინახოს. ამ ადამიანს კი დიდი მოთხოვნები არ ექნება და არც ისეთი პრეტენზიული გარემოცვა ეყოლება, როგორც ე.წ. ძირითად პრეტენდენტებს ჰყავთ.

საღარია ბაჯურ ესნატის ძე

როგორც გაზეთის წინა ნომრებში ვიუწყებოდით, ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

გამოთქვა საკუთარი აზრი მეგობარზე, რომელთანაც ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის ათწლეულები გაკავშირებს და რომელიც ამჟამად ცოცხალი არ არის, ადვილიცაა და საკმაოდ ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ მეგობარს ძალიან კარგად იცნობ და მასზე საუბარი გარკვეული სიამოვნების მომგვრელია. ძნელი კი გახლავთ იმიტომ, რომ საკუთარ მეგობარზე ძალიან ბევრი რამ იცით და მათგან უმთავრესის გამოწვლილვა, მისი ცხოვრების მიზნის წარმოდგენა ყოველთვის არ არის შესაძლებელი, მით უმეტეს, თუ ამ ადამიანის მოღვაწეობა მრავალმხრივია და საინტერესო მოვლენებითაა დამუხტული.

სახელგანთქმული აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ისტორიის მუხლჩაუხრელი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბაჯურ ესნატის ძე საღარია, რომლის უნიკალური ნაშრომები აღიარებული გახლდათ არა მხოლოდ მის სამშობლოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც, დაიბადა 1926 წლის 5 იანვარს, აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ აჩანდარაში, გლეხის ოჯახში. მისი მამა – ესნატ საღარია გახლდათ აფხაზეთის სოფლებში მიმდინარე სოციალისტური გარდაქმნების აქტიური ორგანიზატორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე. სწორედ ის და დედამისი – მაშიკო აგრბა, რომელთაც შვიდი შვილი აღუზარდეს სამშობლოს, გახლდნენ ბაჯურ საღარიას პირველი მასწავლებლები. ამ მატერიალურად ხელმოკლე, მაგრამ სულით მდიდარ ოჯახში ეზიარა ბავშვი დაწყებით განათლებას, შეისწავლა წინაპართა ტრადიციები, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. აფხაზი იხალხი დღესაც მოწიწებით ინახავს მისი ღვაწლმოსილი მშობლების ხსოვნას, რომელთაც სამშობლოს დიდი მეცნიერი და პატრიოტი ბაჯურ საღარია აღუზარდეს.

ბაჯური თავდაპირველად საკუთარი სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი სოხუმის აფხაზურენოვან სასწავლებელში. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, სადაც გაიწვიეს მისი მამა, ბაჯურმა სწავლა შეწყვიტა და აჩადარის კოლმეურნეობაში მეციტრუსეთა ბრიგადას ჩაუდგა სათავეში.

ყმაწვილკაცი მუშაობასთან ერთად შაშხანასაც ატარებდა, რადგან საბჭოთა გამანადგურებელი ბატალიონის წევრი გახლდათ და კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის თავკაციც. ამ სახალხო ლაშქრის წევრებმა კავკასიონზე მოჯარული მტრის სადესანტო რაზმების მრავალი შემოტევა მოიგერიეს და დიდი სამსახური გაუწიეს საბჭოთა სამშობლოს გერმანული ფაშიზმის სასტიკად დამარცხების საქმეში.

1945 წელს ბაჯურ საღარია სსრკ კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, რის შემდეგაც იგი სოფლის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი გახდა.

მთელი ეს წლები ბაჯური სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა.

მალე ოცნება აუხდა – 1949 წელს ბაჯურმა აჩადარის საშუალო სკოლა დაამთავრა, 1954 წელს კი როსტოვის უნივერ-სიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულის დიპლომი მიიღო. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბაჯური ჯერ გუდაუთის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ კი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ამავდროულად ხელმძღვანელობდა რაიკომის ლექტორთა ჯგუფს. 1958 წლიდან ბაჯურ საღარია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტია, სადაც პროფესორ გიორგი ძიძარიას

ხელმძღვანელობით ეწაფება სწავლას. საერთოდ, ამ პიროვნებამ დიდი როლი შეასრულა ბაჯურის სსრკ ისტორიის მეცნიერ-მკვლევარად ჩამოყალიბების საქმეში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სათავეში უდგება კაბინეტს და პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციების კურსს.

1962 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა აფხაზეთის ინსტუტუტში, რომელიც ამჟამად იწოდება აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტად. ჯერ იყო უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის განყოფილების გამგე, წამყვანი მეცნიერ-მუშაკი...

1965 წელს ბ. საღარიამ დაიცვა საკანდიდატო თემა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სახელობის ინსტიტუტში, თემაზე **"განათლება აფხაზეთის ასსრ-ში"**, ხოლო, 1983 წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე **"განათლება და საბჭოთა ნაციონალური სახელმწიფოს განმტკიცება აფხაზეთში 1921-1938 წლებში"**.

ბაჯურ ესნატის ძე საღარიას კალამს ეკუთვნის 270-ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის 80 სამეცნიერო ნაშრომი, 16 მონოგრაფია და კრებული. იგი მიზნად ისახავდა სიძველისაგან გაყვითლებულ ფურცლებში იმ ჭეშმარიტების აღმოჩენას, რომელსაც შეეძლო სამსახური გაეწია ქვეყნის მომავლისათვის. მისი მთავარი მიზანი გახლდათ აფხაზეთის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოს ისტორიის შესწავლა. ამ პრობლემებს მან მიუძღვნა რიგი წიგნებისა და მონოგრაფიებისა, რომლებიც მისი სადოქტორო დისერტაციის თემად იქცნენ.

ბაჯურ საღარიამ დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთში კონსტიტუციური მშენებლობის ისტორიის კვლევის საქმეში. იგი დაწვრილებით შეისწავლიდა კანონთა კოდიფიკაციაზე ხელისუფლების მუშაობას. იხილავდა რა ამ საკითხებს, მან გამოწვლილვით წარმოადგინა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი განვითარების ეტაპები.

ბაჯურ საღარიას ნაშრომებს, აფხაზეთის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დარგში, მაღალ შეფასებას აძლევდნენ საბჭოთა კავშირის ისტორიის სკოლის ღირსეული წარმომადგენლები. ესენია: **"აფხაზეთის ისტორიის "თეთრი"** და **"შავი" წერტილები", "აფხაზეთის ისტორიის ტრაგიკული ფურცლები", "აფხაზეთი – დოკუმენტები მოწმობენ"** და სხვა მრავალი. მის მიერ ასევე განხილულია 1937-1938 წლების რეპრესიათა ტრაგიკული შედეგები.

აქტიურად მონაწილეობდა ბაჯურ საღარია კოლექტიური ნაშრომების შექმნის პროცესებში. ნაშრომებში. იგი, ამავე დროს, რამდენიმე საიუბილეო გამოცემის თანაავტორია.

ბაჯურ საღარიას სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მიუტოვებია პედაგოგიური საქმიანობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი იყო აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მინიჭებული ჰქონდა **"აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება"**.

დიდი მკვლევარი და მეცნიერი, აფხაზეთის ღირსეული შვილი ბაჯურ ესნატის ძე საღარია მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2005 წლის 16 ნოემბერს.

წერილი აფხაზ მხცოვნებს, მშობლებს, დებს, ძმებს, შვილებს, შვილისშვილებს და მომავალ თაობას!

ქართველი ხალხი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სრულიად საქართველოს შევარდნაძემ დაუტოვა გაუცხოება და სიძულვილი მოძმე აფხაზების მიმართ, რაც უფრო მეტად განავითარა მისმა **"ღირსეულმა"** მოწაფემ და პოლიტიკურმა მემკვიდრე არაქართველმა და არაკაცმა მიხეილ სააკაშვილმა. ძალიან ეცადა ეს პირწავარდნილი დაშნაკი რეაქციონერი, რომ აფხაზებთან და ოსებთან კიდევ ერთ სისხლისღვრამდე მიეყვანა საქმე, მაგრამ ქართველმა ერმა დროულად გაიგო და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაუშვა სატანათა გუნდი, რომელიც **"ნაციონალურ მოძრაობად"** იწოდებოდა.

ამრიგად, ჩვენ ძნელად, მაგრამ მაინც დავიხსენით თავი დაშნაკების მიერ იმ თავსმოხვეული ილუზიისაგან, რომელსაც ჩვენი **"დაუძინებელი მტერი რუსი, ოსე და აფხაზი"** ერქვა.

არც თქვენ დაგრჩათ ნაკლებად მძიმე მემკვიდრეობა იმ ანტიაფხაზური ძალებისაგან, რომელთაც საკმაოდ დამაჯერებლად დაგიხატეს **"აფხაზთა დაუძინებელი მტერი ქართველების"** სახე.

დრო გავნთავისუფლეთ ამ სინდრომისაგან და მომავლისაკენ მივმართოთ ხედვა და ძალისხმევა, რადგან მხოლოდ მომავლის იმედით შეიძლება გამთელდეს ჩვენს შორის ჩატეხილი ძმობის, მეგობრობისა და სისხლით ნათესაობის ხიდი!

მხოლოდ მომავლისაკენ სვლა, რადგან უახლოესი წარსული მხოლოდ ბნელსა და დანაშაულებრივად დაღვრილ სისხლს უკავშირდება.

ერთ ადგილს კი მხოლოდ აზროვნებას მოკლებული არსებები ტკეპნიან წლების განმავლობაში!

როგორც ასეთ შემთხვევაში ჩვენი წინაპრები იტყოდნენ: **"ვაშინერს"**!

როგორ შეიძლება, რომ ჩვენ ვერ მოვძებნოთ საერთო ენა და ამაში ვიღაც გადამთიელი გვეხმარებოდეს? იგი ხომ სარფს წაიღებს ქართველებისა და აფხაზებისაგან, და, რაც შეიძლება დიდ ხანს გასწელავს ჩვენი უბრობის პროცესებს, რათა კიდევ უფრო მეტი ფულადი თუ მატერიალური მოგება მიიღოს ჩვენი **"შერიგების"** ხარჯზე. ამიტომ, ვიდრე ჩვენი ბედი უცხოთა ხელშია, ჩვენ საერთო ენის პოვნა არ გვიწერია. ამასობაში კი გლობალიზაციის ცხელ ნაღვერდალში ინავლება ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეობით ნაჭედი ძმობის და და მეგობრობის რვალი. **"გათიშე და იბატონეს"** საძრახისმა და ვერაგულმა მოწოდებამ დაისადგურა ჩვენს ძვალ-რბილში, სიძულვილით და უნდობლობით დაიმუხტა ენგურის თვალწარმტაცი ნაპირები, შიში და უკიდეგანო მტყობა დანავარდობს აფხაზეთისა და სამეგრელოს იმ ჭალებში, სადაც ერთად ქეიფობდნენ ნადირობდნენ ჩვენი სახელოვანი, ღირსეული წინაპრები. ეს კი მათი ხსოვნის უგულვებელყოფაა – ისტორიის წინაშე დაშვებული მოუნანიებელი დანაშაული...

ყველამ თავი გამოიდო, ვისაც კი შეეძლო მტრობის გადაულახავი ზღვარი დაედო აფხაზებსა და ქართველს შორის, რაშიც, ჩვენდა საუბედუროდ, მრავალმა უმეცარმა თუ ანგარებით დაბრმავებულმა ქართველმა და აფხაზმა **"გამოიჩინა თავი"**! მართლაც სატანის ზეობა გახლდათ ქართველებსა და აფხაზებს შორის მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის ხიდის ჩაქცევა, იმ ენგურის ხიდისა, რომელიც დღეს სამარცხვინო წარსულის ძეგლადაა აჩორჩხილი ჩვენი ძმობისა და მეგობრობის ყოფილ სამანზე...

თურმე სირცხვილის ძეგლიც შეიძლება უფრო შთამბეჭდავი იყოს, ვიდრე გმირობისა და ხალხთა შორის მეგობრობის აღსანიშნავად აღმართული, ცას ამწვდარი სტელა!

ახლა ჩვენი ვალია დავანგრიოთ ეს სიძულვილისა და უნდობლობის ძეგლი, რომლის შემოქმედები დღესაც მუჭში ხითხითებენ და შორიდან, როგორც თვალისსეირს, ისე უყურებენ ჩვენს შორის ხელოვნურად ატეხილ შფოთსა და ძიძგილაობას!

ნუთუ ჩვენს მტრებზე მეტი წინდახედულება და სიბრძნე ვერ უნდა გამოვიჩინოთ ამ ორმა, უძველესი კულტურის მქონე ხალხმა?

ამიტომაა სასურველი, რომ ურთიერთშორის დიალოგი დაიწყონ ჩვენმა უხუცესებმა, იმ ბრძენმა ქართველებმა და აფხაზებმა, რომელთაც მტრობის ფასიც კარგად იციან და მოყვრობისაც, რომელთაც კარგად ახსოვთ, თუ როგორ ვედექით ჭირისა და ლხინის ჟამს მხარში ერთმანეთს ქართველები და აფხაზები!

სხვაგვარად ვერასოდეს ვერ მივალთ იმ ჭეშმარიტებასთან, რომელიც ჩვენი მომავალი თანადგომის მყარი გარანტი უნდა იყოს!

ახლა ქვების სროლის ჟამი არ არის, ახლა სიტყვის გაცვლის ჟამია და ჩვენ ერთმანეთს უნდა ვუთხრათ ეს სიტყვა, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს იგი!

როლანდ ჯალაღანია

ამბები სამეგრელოდან

სამეგრელოში მაჟორიტარების ბიუროები მოვალეობებს ვერ ასრულებენ

სამეგრელო-ზემო სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დღეს, 9 ოქტომბერს ჟურნალისტებს გააცნეს.

„გამჭვირვალობის“ ზუგდიდის ოფისის წარმომადგენლების განმარტებით, ბიუროებიდან მიღებული პასუხებით დგინდება, რომ მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებს რაიმე სახის კვლევა მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენის ნიზნით არ ჩაუტარებიათ. მათივე თქმით, როგორც ირკვევა, მოქალაქეების პრობლემებს მათ მიერ გამოგზავნილი წერილობითი განცხადებების შინაარსიდან ასკვნიან.

„წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, მაჟორიტარი დეპუტატის არც ერთ ბიუროს მოქალაქეებთან შეხვედრის ოქმები ჩვენთვის არ გამოუგზავნიათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი ოქმები შესაძლებლია საერთოდ არ არსებობდეს“, – აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს“ ანალიტიკოსი არჩილ თოდუა.

როგორც ირკვევა, აბაშის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დახმარებისთვის 234 ადამიანმა, ძირითადად, სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე, მიმართა. ხოლო მაჟორიტარი დეპუტატატმი დავით დარცმელიძე მოსახეობას სულ რამდენჯერმე შეხვდა. ამასთან, ირკვევა, რომ აბაშის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს რაიმე სახის კვლევა მოსახლეობის საჭიროებების შესახებ არ ჩაუტარებია.

აბაშის მაჟორიტარი დეპუტატისგან განსხვავებით, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მისაბიშვილი მოსახლეობას 44 შეხვდა. აქედან, მხოლოდ 25 იყო საჯარო. თუმცა, უცნობია ატარებს თუ არა მოსახლეობების საჭიროებების კვლევას სენაკის ბიურო.

მესტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვიქტორ ჯაფარიძემ კი მოსახლეობასთან 10-მდე შეხვედრა მოაწყო. ამასთან, ბიუროს ცნობით ვიქტორ ჯაფარიძე მთავრობისგან, სვანეთში განსახორციელებელი პროექტებისთვის, აქტიურად მოითხოვს თანხების გამოყოფას. სხვა მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების მსგავასდ, მოსახლეობის საჭირობების შესახებ კვლევა მესტიის ბიუროსაც არ ჩაუტარებია.

წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ქარდავამ მოსახლეობასთან 5 შეხვედრა გამართა. ქარდავას ბიუროს წერილობითი განცხადებით კი 47 მოქალაქემ მიმართა. ამასთან, როგორც წალენჯიხის ბიუროდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ადგილობრივი ტელევიზიით პერიოდულად გადის გადაცემა „დეპუტატის საათი“ სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს მოსახლეობას კითხვები პირდაპირ ეთერში დაუსვან.

ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მოსახლეობათან 27 საჯარო შეხვედრა მოაწყო. განცხადებით კი 65 მოქალაქემ მიმართა. ამასთან, ხობის ბიუროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად ირკვევა, რომ მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია ხობი-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი გზის მშენებლობას ლობირებს.

მოსახლეობის საჭიროებების კვლევა, სხვა ბიუროების მსგავასდ, არც მარტვილისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატების ბიურობს ჩაუტარებიათ. მათ დახმარებისთვის, დაახლოებით, 50-50-მდე მოქალაქემ მიმართა განცხადებით.

ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატი, ვახტანგ ლემონჯავა, ეკა ბესელიას გამოკლებით, ერთადერთი დეპუტატია რეგიონში, რომელიც კანონპროექტზე მუაობს.

ფოთის მაჯორიტარი დეპუტატის ბიუროს, ზეპირად 3000-მდე მოქალაქემ, ხოლო წერილობით 1000-ზე მეტმა მოქალაქემ მიმარა. ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეობასტან 25 საჯარო შეხვედრა გამართა. ამასთან ეკა ბესელიას მიერ საქართველოს პარლამენტში რამდენიმე კანონპროექტი იქნა ინიცირებული.

რაც შეეხებე ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს საქმიოანობას, რომელიც „გამჭვირვალობამ“ მიმდინარე წლის მაისის თვეში მოიკვლია, როლანდ ახალაიას არჩევნების შემდგომ არც ერთი შეხვედრა ამომრჩევლებთან არ ჩაუტარებია. ამასთან, გაურკვეველია მოქალაქეთა მიღების დღეები.

გარდა მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობისა, „გამჭვირვალობამ“ მათი ბიუროების თანამშრომლების რაოდენობაზე და სახელფასო ფონდზეც გაამახვილა ყურადღება.

მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებში თანამშრომელთა რაოდენობა და ყოველთვიური ჯამური ხელფასი ასე გამოიყურება: ზუგდიდი – 3 თანამშრომელი , ყოველთვიური ჯამური ხელფასი – 3 ათას 650 ლარი; სენაკი – 3 თანამშრომელი, ხელფასი – 2 ათას 230 ლარი; მარტვილი – 5 თანამშრომელი, ხელფასი 2 ათას 550 ლარი; აბაშა – 4 თანამშრომელი, ხელფასი – 2 ათას 300 ლარი; მესტია 6 თანამსრომელი, ხელფასი – 2 ათასი 920 ლარი; წალენჯიხა, 6 თანამშრომელი, ხელფასი – 3 ათასი 400 ლარი; ხობი – 5 თანამშრომელი, ხელფასი 3 ათას 400 ლარი, ჩხოროწყუ -5 თანამშრომელი, ხელფასი – 3 ათასი ლარი; ფოთი, 5 თანამშრომელი, ხელფასი 2 ათას 575 ლარი.

„საერთო სურათი დამამშვიდებელი არ არის. ბიუროები როგორც ჩანს ვერ ან არ ასრულებენ იმ ფუნქციას, რომელიც მათ პარლამენტის დებულების თანახმად აკისრიათ. პარლამენტის წევრი იმიტომ არის ადამიანი, რომ მას აქვს გარკვეული ნდობის მანდატი და ბუნებრივია მას ეკისრება პასუხისმგებლობა. სწორედ ამ პასუხისმგებლობის შესრულებაში უნდა იხარჯებოდეს ის სახელმწიფო სახსრები, რომელიც მიმართულია ბიუროებისთვის“, – უთხრა ჯურნალისტებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კოორდინატორმა მალხაზ ჭკადუამ.

ამასთან, „გამჭვირვალობა“ მაჯორიტარ დეპუტატებს რეკომენდაციებს სთავაზობს და გააქტიურებისკენ მოუწოდებს.

წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში აცხადებენ, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მათგან ინფორმაცია 4 თვის წინ გამოითხოვა.

„ამ ოთხი თვის განმავლობაში წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ქარდავა მოსახლეობას პერიოდულად ხვდებოდა და დღეის მონაცემებით 15-ზე მეტი შეხვედრა აქვს გამართული. რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, ვგეგმავთ მოსახლეობასთან შეხვედრებს, ვიღებთ განცხადებებს და ა.შ. ბატონი ლევანი, როცა წალენჯიხაშია ხვდება მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ “, – უთხრა რადიო „ათინათს“ წალენჯიხის მაჯორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა ლაშა ზარქუამ.

რაც შეეხება მოქალაქეებთან შეხვედრის ოქმების შედგენას, ლაშა ზარქუა ფიქრობს, რომ ეს კანონით გათვალისწინებული აუცილებელი პროცედურა არ არის.

საკაკაშვილის პოლიტიკური სტარტი და ფინიში!

სატანა მოგვშორდა – ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა!

დიახ, დღეს სამუდამოდ ჩამოგვშორდა მთავარი სატანა – ედუარდ შევარდნაძე, რადგან სააკაშვილიცა და სხვა ნაციონალებიც ამ არაკაცის პოლიტიკური შლეიფი და უსასოო ანრდილები იყვნენ!

ორმოცი წელი ადგა თავზე საქართველოს შევარდნაძის ავბედითი ფიგურა, ორმოცი წელი ჯიჯგნიდა ჯერ შევარდნაძე და შემდეგ მის მიერ ხელდასხმული შეურაცხადი სააკაშვილი უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

მაგრამ მაინც მოვაწიეთ დღემდე და ვეღირსეთ დიდ ოცნებას – საქართველოს საბვოლოოდ განთავისუფლებას გადამთიელთა დიქტატისაგან!

მწერალი და უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე **“ფეისბუქის“** საკუთარ გვერდზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფიიდან რამდენიმე ფაქტს იხსენებს და წერს, რომ საზოგადოებამ თავად უნდა განსაჯოს, რამდენად აქვს ასეთი წარსულის მწონე ადამიანს ქართულ პოლიტიკაში ყოფნის უფლება.

საქართველოს მოსახლეობას აქვს უფლება, რომ იცოდეს მისი პრეზიდენტის ბიოგრაფია მთლიანად და შელამაზების გარეშე. მიშა სააკაშვილი გულმოდგინედ მალავს თავის ურთიერთობას საბჭოთა კგბ-სთან 1980-იანი წლებიდან მოყოლებული. ის არასდროს ლაპარაკობს იმაზე, რომ 1980-იან წლებში საბჭოთა მზვერავების სკოლაში სწავლობდა და **კგბ**-ს (ახლა რომ **სუპ**-ი ჰქვის) ჯარში ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. არადა ეს ინფორმაცია ჟონავს. მოსახლეობამ უნდა მოითხოვოს ამ ტიპის სრული ბიოგრაფია და ახლა, როცა მისი მომხრეები აქეთ სხვებს ადანაშაულებენ ათას რამეში, საზოგადოებამ უნდა განსაჯოს – ამ ბიოგრაფიის კაცს რამდენად შეუძლია, რომ იყოს პოლიტიკაში საქართველოში. ყველაფერს თავისი ახსნა აქვს – მათს შორის 2008 წელს მიშას მიერ საქართველოს მეხუთედის ჩუქებას რუსეთისათვის. ეს ახსნა მის ბიოგრაფიაშია.

არავინ იცის, ისეთი რა ფიცი დაადებინეს სააკაშვილს, როცა საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურში დგებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ მას ფიცის დადების მანია გაუჩნდა და ფიცის დასადებად ხან დავით აღმაშენებლის საფლავზე გარბოდა, ხან კი წიწამურში. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელიც სააკაშვილის, როგორც საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის **“ბრწყინვალე გამარჯვებით“** დასრულდა, სააკაშვილმა ფიცი დასდო, რომ რუსეთს საბოლოოდ დაშლიდა. როგოც ჩანს, მას საკუთარი ძალების გამოცდა მოუნდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ შესძლებდა დანაფიცარის აღსრულებას და დაშლის პოლიტიკური პროცესი საქართველოდან დაიწყო, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი და მალე საქართველო სამ შემადგენლ ნაწილად დაშალა. ის იყო აპირებდა ამ ქიმიური პროცესის რუსეთის პოლიტიკურ რეალობაში გადატანას, მაგრამ არ დაცალეს და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაუშვეს. ასე რომ, რუსები ჩვენ უნდა გვემადლიერებოდნენ მათი სამშობლოს ერთიანობის შენარჩუნებას, თორემ, სააკაშვილი რომ საქართველ;ოს ხელისუფლებაში დარჩენილიყო, ისევე, როგორც საქართველოში, რუსეთში ვორონეჟელ რუსს სპეციალური ვიზით მოუწევდა ტულაში ჩასვლა.

მოკლედ, დიდი ხიფათი ავაცილეთ რუსებს!

ჩვენი დიდი უბედურება კი ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ სჯერა ამ პირწავარდნილი დაშნაკის ნაბოდვარის და დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა საქართველოს საბოლოოდ დაშლის დაშნაკური გეგმის განხორციელება გახლდათ და არა საქართველოს რეგიონების განვითარებაზე ზრუნვა. სამწუხაროდ, რომ ამ კატეგორიას ეკუთვნიან პარლამენტარები ბოკუჩავა, საჯაია, ახალაია და სხვა უღირსი მეგრელები, რომელთათვისაც, როგორც ჩანს, საკუთარი კეთილდღეობა უფრო ღირებულია, ვიდრე საქართველოს ბედი!

უმეცრებას და პოლიტიკურ საკითხებში ჩაუხედაობას მათ ნამდვილად ვერ დააბრალებ, რაც იმის დასტური გახლავთ, რომ ეს ვაი-ქართველები შეგნებულად ღალატობენ სამშობლოს!

მართლაც რომ საოცარია, ამგვარი **“ქართველების“** ხელში როგორ მოადწია საქართველომ ჩვენამდე, თუნდაც ასეთ შემჭიდროვეულ საზღვრებში!

ამას წინათ სააკაშვილის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებული არარაობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის **„არმენიზაციის“** წინააღმდეგია, რის შესახებაც მან საწარმო **„დელტაში“** სტუმრობის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა. ამასთან, იგი მხარს უჭერს საპარლამენტო უმცირესობის წინადადებას, რომლის თანახმად საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი კონსტიტუციის მეშვეობით გამტკიცდება.

„რამდენიმე განცხადება გაკეთდა, კერძოდ, განცხადება სომხეთში, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის არმენიზაცია და, კერძოდ, თანაბარი დისტანცია უნდა დავიკავოთ

დასავლეთისგანაც და რუსეთისგანაც, რაც არ იყო ადრე საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულება და კურსი“, – აღნიშნა ქვეყნის მეთაურმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა საქართველოს პრემიერის

მიერ გაკეთებული განცხადებები სომხეთში ვიზიტისას.

პრეზიდენტმა კრიტიკულად შეაფასა აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წინადადებაც. **„ერევანში უკვე გაკეთდა განცხადება, რომ გადიან ტექნიკურ დეტალებს აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით. რკინიგზა არის არა მხოლოდ ლეგალიზაცია რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციისა, პირდაპირ პლაცდარმს ვაძლევთ რუსეთს კავკასიის დაპყრობის. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, იმ სიტუაციაში, როცა რუსეთს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ 2015 წელს ევრაზიის კავშირის სახით გარკვეულწილად აღადგინოს საბჭოთა კავშირი, საბჭოთა იმპერია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე“,** – განაცხადა საქართველოს ჯერ კიდევ პრეზიდენტმა.

საინტერესოა, როდის და რატომ მოეკიდა დაუძინებელ მტრად მიხეილ სააკაშვილი **“შობლიურ“** სომხეთს, როცა იგი ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ყოველ კაპრიზს და პოლიტიკურ მოთხოვნას სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა. გაიხსენეთ, თუ როგორი სისწრაფით მოაწერა მან ხელი კანონს რელიგიის შესახებ (დიახაც რომ

სომხეთის კათოლიკოსის გარეგინის სურვილის შესაბამისად), მაშინ, როცა საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პირადად სთხოვა ამ პირწავარდნილ დაშნაკს, რომ თავი შეეკავებინა აღნიშნული მზაკვრული ინიციატივისათვის კანონის სახის მიცემისაგან!

მოკლედ, კალმის ამ ერთი მოსმით, ამ პირწავარდნილმა **“დაშნაკცუტიუნელმა“** მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ლამის ერთ-ერთ რიგით სექტას გაუთანაბრა.

მეტი თავხედობა და მართლმადიდებლობისადმი უპატივცემლობა მართლაც რომ წარმოუდგენელია!

სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი სომხებზე იმიტომ არის გაბრაზებული, რომ, მათი დახმარებით ვერ მოახერხა პროვოკაციის გაჩაღება ჯავახეთის რეგიონში, რაც მას ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ამღვრევის საშუალებას მისცემდა. მღვრიე წყალში კი კარგად იჭირება ის თევზი, რომელსაც ძალაუფლება ჰქვია და რომელიც უკვე **“საიმედოდ“** დაჰკარგეს ავადსახსენებელმა ნაციონალებმა და მათმა უბადრუკმა **“ბელადმა“** მიხეილ სააკაშვილმა. ამიტომაც ვერ ისვენებს გამწარებული სააკაშვილი და შხამიან ისრებს უშენს ყველას, ვისაც კი მისწვდება. საბედნიეროდ, მას შხამიანი ნესტარი უკვე ამოგლეჯილი აქვს და ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკურ სიტუაციაზე, მაგრამ მაინც ჯიუტად დგას საძრახის პოზიციაზე – **“ჩემს შემდეგ თუნდაც ქვას უთოვია!“** ამიტომაც არ ინდობს თვით თავის თანამემამულე სომხებსაც კი და ჩვეულ სიმყრალეს აორთქლებს მათ.

მოდი და, დაუჯერე რამე ამ უზნეო ცრუ-პენტელას, რომელიც ახლაც უტიფრად ამტკიცებს, რომ საქართველოს ჩემნაირი **“აღმშენებელი“** მეფე ჯერ არ ჰყოლიაო!

რას იზამ, მის გადაშენებამდე საათებიღაა დარჩენილი და ჩვენც მოთმინებით და **“გაგებით“** უნდა შევხვდეთ ამ მართლაც შეურაცხადის სულელურ ტრიუკებს.

“ფრთხილად ვიყოთ, მეგობარო, ფრთხილადა...”

რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, მით უფრო აქტიურდება საზოგადოებრიობა. საზოგადოებას კი ნამდვილად სჭირდება გააქტიურება და სწორი დასკვნების გამოტანა, რამეთუ, ბევრჯერ შეგვწლია პოლიტიკური არჩევანის გაკეთება. საზოგადოების გააქტიურების კვალდაკვალ **“ნაცმოძრაობის”** აქტიურობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რაც იმ შეგნებული საზოგადოების უარყოფით ემოციებს იწვევს, რომელსაც არაერთგზის უწვნევია საკუთარ თავზე ნაცების ძალადობა. სამეგრელოში, განსაკუთრებით ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში ჯერ კიდევ ბევრია **“ყრუ-მუნჯი”** ამომრჩეველი, რომელიც მზადაა გროშებად გაყიდოს თავისი ხმა და დანარჩენ მოსახლეობას კვლავ თავს მოახვიოს ის უბედურება, რასაც **“ნაციონალური მოძრაობა”** ჰქვია! სამეგრელოს რეგიონი ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი თავშეკავებულობით, საზრიანობით, მიხვედრილობით, პატრიოტიზმით, მაგრამ ბოლო პერიოდში, რატომღაც, გადაგვარების გზას დავადექით და სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ, თუ სად გაგვიქრა ხალხისა და სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალად აღიარებული გრძნობა? რასაკვირველია, ჩვენში, სადაც ხალხს ერთი აზრი, ერთი მიზანი აკავშირებს, სწორედ ერთიანობის განცდა უნდა გვაძლევდეს თავდაუზოგავად ბრძოლის სტიმულს, რამაც უნდა მიგვიყვანოს ბედნიერ და უზრუნველყოფილი ცხოვრებასთან. ჩვენ კი ყველაფერს უკუღმა ვაკეთებთ.

რატომ? ვინ მოგვწამლა ასე? რამ შეგვაყვარა **“ნაცმოძრაობა”** ისე, რომ მათ რეანიმაციაზე ვფიქრობთ?

ჩვენი უმრავლესობა **“ნაცბანდის”** თანამგრძნობ ცხვრის ფარას ჰგავს, იმ ცხვრის ფარას, რომელიც მეთაურ ერკემალს უფსკრულში გადაჰყვება. ჩვენ ყველანი ვიყავით უფსკრულში, საიდანაც ძლივს ამოვბობღდით, თუმცა საპარლამენტო არჩევნების დროს დავამტკიცეთ, რომ ბევრმა უფსკრულში დარჩენა არჩია. ნუთუ ვერ ვხედავთ იმას, რომ **“ნაცმოძრაობის”** ბოროტმოქმედთა ბრბო ახლა გადაიქცა პროფესიონალთა ორგანიზაციად. ისინი დღემდე ინახავენ შეიარაღებული ბანდიტების მუდმივ არმიას და ქვეყნის ბევრ ქალაქში, მათ შორის ზუგდიდშიც დაამტკიცეს თავიანთი უნარიანობა არჩევნების დღეებში, რაც ძირითადად საარჩევნო თაღლითობაში გამოიხატა...

ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ბანდიტური ჯგუფები ხშირად **“წარმოგვიდგებიან”** პოლიტიკურ კლუბებად, შეარაღებული ბანდების მეთაური კი გვევლინებიან მათ პოლიტიკურ წინამძღოლებად. სტალინი ამბობდა: **“საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ გარეშე პირობები იცვლება და შემდეგ, ამის თანახმად, იცვლება ადამიანთა აზროვნებაც, მათი ზნე-ჩვეულებანი და მსოფლმხედველობა”.**

მაშ ჩვენ რა გვჭირს, რით ვერ დავადექით სწორ გზას? რატომ და რისთვის უნდა ჩავყვეთ სამარეში ჩვენს დამაქცევარ **“ნაცმოძრაობას”** და მის დიქტატორ ლიდერს?

ფრანგი მორალისტი შარლ დუკლო ამბობდა: **“სამნაირია უმეცრება. ერთი – არ არის ცოდნა, მეორე – ცუდად ცოდნა იმისა, რაც იცის, მესამე – ცოდნა იმისა, რაც არ უნდა იცოდეს”.** ამ სამი ცნებიდან თუ რომელ კრიტერიუმს ვაკმაყოფილებთ ჩვენ, ძნელი სათქმელია, რამეთუ ცოდნა ამისი ნამდვილად არ გაგვაჩნია. ახლა, როცა საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვდგომია და ქვეყნის ბედი უნდა გადაწყდეს, აუცილებელია გონიერებას მოვუხმოთ და გავაკეთოთ სწორი დასკვნები. საქმე ვინმეს სიყვარულს და სიმპათიას კი არ ეხება, არამედ სასწორზე ქვეყნის მომავალი დევს! ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ბორშ ვეისის სიტყვებია: **“თუ თქვენ გძულთ ვინმე და არა ღირსებას არ თაკილობთ, რომ ავნოთ, თუ ფული თქვენი პირველი და უკანასკნელი სანატრელია, ცბიერება და ფარისევლობა თქვენი მოქმედების ღონეა, თუ სხვისი ბედნიერება გწყინთ, თუ სხვისი ნიჭიერება მარტო შურს აღგიძრავთ და კარგი ღირსება მტრად გხდით, თუ გული თქვენი დახურულია გულმტკივნეულობისათვის და სხვისი უბედურება გიხარიათ კიდეც, თქვენ ღირსი არა ხართ ცოცხალი იყოთ, რამეთუ, თუ თქვენ ამისთანა თვისების პატრონი ჯერ არ მისულხართ დიდსა და ავკაცურ დანაშაულობამდე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამისთვის არც ღონე გქონიათ, არც შემთხვევა”.** ეს ღონე და შემთხვევა ერთხელ უკვე გვქონდა კოლხებს და ჩავიდინეთ კიდეც ავკაცური დანაშაული საპარლამენტო არჩევნებისას. ახლა ამას კვლავ თუ გავიმეორებთ, ქართველი ხალხი ანათემას გადაგვცემს და საშვილისშვილოდ დავიწყევლებით. უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება სურნელოვანი ყვავილი გაიფურჩქნოს იმ აშმორებულ ჭაობში, რომელშიც ვცხოვრობდით ცხრა წლის განმავლობაში. მიუხედავად ზემოთ გამოთქმული კეთილი რჩევისა, არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებენ, კერძოდ კი – ამ ყბადაღებული და შემოტენილი კოაბიტაციის შედეგად ძალიან დიდი საფრთხე იქმნება იმისა, რომ თვალსა და ხელს შუა გაგვიქრეს 2012 წლის ოქტომბრის მონაპოვარი. ამ მონაპოვარმა გაზაფხულს მოსწრებული თოვლივით იწყო დნობა. **“ნაცბანდა”**, რომელმაც აშკარად ნოკაუტი მიიღო, თავდაპირველად **“თაგვის სოროში”** იყო შემძვრალი. მაგრამ ამჟამად თანდათან გამოძვრნენ სოროდან და კოაბიტაციით წაქეზებულები ჩვენ გვიპირებენ **“სოროში შერეკვას”** (ყოველი შემთხვევისათვის, ამის დიდი სურვილი აქვთ). ხალხი, რომელმაც იზეიმა ხელისუფლების შეცვლა, დიდი იმედებით განიმსჭვალა. შემდგომ კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამ იმედმა თანდათან იწყო გაქრობა, იმ მოტივით კი არა, რომ **“ნაცბანდა”** მოენატრა ხალხს, არამედ იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენის შეპირებამ **“ჩაილურის წყალი დალია”**, რამაც საზოგადოებას რწმენა დაუკარგა.

ამან კი შეიძლება ამომრჩეველთა დიდი ნაწილი სულ სხვა რელსებზე შეაყენოს, რაც ყველა შემთხვევაში დამღუპველი იქნება და არათუ დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, არამედ შეიძლება სახელმწიფოებრიობაც დავკარგოთ! ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, მართალია, ტელეეკრანებიდან, პრესის ფურცლებიდან გვაწვდის ინფორმაციას, რომ სამართლიანობა აღდგენის საკითხს ამუხრუჭებს ამერიკა, ევროპა, მაგრამ ეს ვერაფერი შედავათია, რამეთუ უსამართლოდ დაჩაგრულთა რაოდენობამ იმ ავადმოსაგონარ პერიოდში გეომეტრიული პროგრესიით იმატა და კოლოსალურ რაოდენობას მიაღწია, რაზედაც არც ამერიკას და არც ევროპას ყური არ შეუბერტყავს და უკანონობას აკანონებდა, ახლა კი ხელს გვიშლიან კანონიერება დავაკანონოთ, რაც მხოლოდ **“ნაცბანდის”** წისქვილზე ასხამს წყალს. ეს კი იმის საფრთხეს ქმნის, რომ ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ აბობოქრდება და გამორიცხული არ არის სისხლიც დაიღვაროს. ამიტომ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ამერიკისა და ევროპის მიერ წაქეზებული **“ნაცბანდა”** ჯერჯერობით ისევ საშიშია, რადგან დასაკარგი არაფერი აქვს. ამ საფრთხეების გათვალისწინებით თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა ღრმად ჩავუკვირდეთ ჩვენს ქცევას. მაქსიმალურად უნდა გამოვიმუშაოთ კარგისა და ცუდის გარჩევის უნარი, გავაკეთოთ სწორი არჩევანი, რომ ჩვენს შვილებს, შვილისშვილებს ჩვენი უგერგილობით კიდევ ერთხელ არ შევუქმნათ ცოცხთან დაკავშირებული პრობლემები. აქსიომაა – ტოტი, რომელზეც ჩამომჯდარი ხარ, არ უნდა მოჭრა. მოქმედმა ხელისუფლებამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ არიან თითქოსდა მათ მომხრეებად ჩათვლილი ხალხი, რომლებსაც მთელი ზუგდიდი იცნობს და სახელი იმითა აქვთ განთქმული, რომ შემოდგომის ლობიოს ფურცელივით ყველა პარტიას ეკრობიან, თუ კი გამოსარჩენი არის რამე. ასეთი ხალხი უფრო საშიშია, ვიდრე გვგონია. ამ ხალხს სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში და ახლაიას გაპარლამენტარებაში ლომის წილი მიუძღვის და მათთან მიმართებაშიც დიდი სიფრთხილეა საჭირო.

როზმირ გოგენია,
ზუგდიდი

სააკაშვილის მითითებით, ტალიავინის კომისია მოატყუეს?

ოქტომბრის ბოლოსთვის მუშაობას დაასრულებს თავდაცვის სამინისტროში შექმნილი კომისია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობას შეისწავლის. კომისია სხვადასხვა საჯარისო ქვედანაყოფების ოფიცრებისგან არის დაკომპლექტებული. ამ ჯგუფმა უკვე გამოკითხა ომის მონაწილე ოფიცერთა შემადგენლობა და მეორე ეტაპზე ყოფილი გენშტაბის წევრებისა და ყველა სხვა უმაღლესი ოფიცრის, მათ შორის მთავარსარდლის გამოკითხვას გეგმავს.

მართალია, კომისიის მუშაობის დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმაო ხანია დარჩენილი, მონაცემები შეჯერებული არ არის და საბოლოო დასკვნებზე ნაადრევია საუბარი, მაგრამ წყაროს ინფორმაციით, რომელიც ასევე ამ კომისიის წევრია, გარკვეული კონტურები უკვე იკვეთება. თვალშისაცემია ის, რომ სამხედრო პირთა უმრავლესობა საუბრობს პანიკაზე, რომელმაც ომის დღეებში ქართული ჯარი მოიცვა. საყოველთაო პანიკის შესახებ ჩვენთვის ისედაც არის ცნობილი. მეორე მოსაზრება კი აშკარად უცნობია და სკანდალურად ჟღერს: გამოკითხული ოფიცრები ისეთ რადაცებს ჰყვებიან, რაც საერთოდ ნახსენები და შეტანილი არ არის ტალიავინის ცნობილი კომისიის დასკვნაში. ასევე იკვეთება სურათი, რომ ტალიავინი შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში და ეს მიხეილ სააკაშვილის დავალებით მოხდა, რათა პოლიტიკური პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან, – აცხადებს წყარო.

ეს ჯერ კიდევ არ არის საბოლოო დასკვნა და მხოლოდ კომისიის რამდენიმე წევრის პირად ანალიზს ეყრდნობა, მაგრამ მათი წინასწარი ვარაუდით, ალბათობა იმისა, რომ საბოლოო დასკვნაც ასეთივე იქნება, ძალიან მაღალია. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს.

დაუკვირდით: კომისიის მუშაობის დასრულება ანუ დასკვნების გამოქვეყნება არჩევნების დასრულებას ემთხვევა ანუ პერიოდს, როცა სააკაშვილი ამთავრებს საპრეზიდენტო მოღვაწეობას. მართალია, იგი წინასწარ იმყარებს იმუნიტეტს და აცხადებს, რომ ერთხელ პრეზიდენტი ყოველთვის პრეზიდენტია, მაგრამ ამავე ლოგიკით, ერთხელ ლაჩარიც ყოველთვის ლაჩარია. ჰოდა, თუ დამტკიცდა, რომ მთავარსარდლობამ პანიკას ვერაფერი მოუხერხა და შიშის გამო მიატოვა ბრძოლის ველი, ამისთვის მას სერიოზულ პასუხს მოსთხოვენ, რადგან როგორი მიზეზიც არ უნდა არსებობდეს, ბრძოლის დროს საომარი ველის მიტოვება, არც მეტი არც ნაკლები, სამშობლოს ღალატია, ხოლო თუ მეორე ეჭვიც – ტალიავინის მოტყუება დადასტურდა, მაშინ უკვე მთლად ცუდად აქვთ საქმე ამ კომისიის დასკვნის გარეშეც ლაჩრებს, რადგან საერთაშორისო პოლიტიკური წრეების შეცდომაში შეყვანას მიხეილ სააკაშვილს უკვე მისი ყოფილი მეგობრებიც კი აღარ აპატიებენ. ამ ყველაფერს კოჰაბიტაციის დასრულებაც დაეუმატოთ და...

მოკლედ, ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისისთვის საინტერესო მოვლენები გველის.

დ. დევიძე

ედუარდ შევარდნაძე – “სააკაშვილის დაუსჯელობა არ შეიძლება, ის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის”

(გველი ძველებურად იხლაკნება)

საქართველოს ექს-პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, გაზეთ **“ასავალ-დასავალთან”** ინტერვიუში ბოლო დროის პოლიტიკურ მოვლენებზე – ბიძინა ივანიშვილის ჟურნალისტებთან გახმაურებულ შეხვედრაზე, კოაბიტაციასა და მიხეილ სააკაშვილზე ისაუბრა.

“თავისი ფუნქცია უნდა იცოდეს ბიძინამაც და ჟურნალისტებმაც. ზღვარი სჭირდება საყვედურებსაც და კრიტიკასაც. ვფიქრობ ამ კუთხით ორივე მხარემ გადააჭარბა. თუმცა ამ შემთხვევაში ჩემთვის პრემიერის ემოციური ტონი უფრო გასაგები იყო, ვიდრე ჟურნალისტების ზღვარგადასული კრიტიკა, შეიძლება ითქვას, აგრესიაც. ვერა და ვერ გააგებინა კაცმა, რომ ერთ წელიწადში იდეალურ ქვეყანას ვერ ააშენებდა. არადა, ეს არც ისე ძნელი გასაგები უნდა იყოს, თუ ვინმეს გაგება უნდა. 9 წლის განმავლობაში გადაეჩვივნენ, რომ შეეძლოთ მთავრობის მეთაურისთვის ასე თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე დაესვათ კითხვები და გაეკრიტიკებინათ. ამიტომაც, ჩემი აზრით, ვედარ გაიგეს ზღვარი. ჩემი აზრით, ივანიშვილის ემოციური ტონი გულწრფელობით არის გამოწვეული. ამას ახლა ვერ ვხედებით, მაგრამ დროთა განმავლობაში გულწრფელობა აუცილებლად დაფასდება”, – აცხადებს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

შევარდნაძემ დიცსა და დვანში მიმდინარე მოვლენებზეც ისაუბრა. მისი აზრით, საქართველომ რუსეთის პროვოკაციულ ქმედებას მშვიდი პოლიტიკა უნდა დაუპირისპიროს.

“ყველაზე მეტი კრიტიკა პრემიერმა დიცსა და დვანში მიმდინარე მცოცავი ოკუპაციის გამო მოისმინა... სამწუხარო რეალობაა, რომ მთავრობას იმაზე მეტის გაკეთება არ შეუძლია, რასაც აკეთებს. მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების იმედად ვართ დარჩენილი. სხვა ნებისმიერი ქმედება, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს. უდიდესი ნებისყოფა სჭირდება ახალ მთავრობას, რომ რუსეთის ამ პროვოკაციულ ქმედებებს მშვიდი პოლიტიკა დაუპირისპიროს. რასმუსენის და ეშტონის მოწოდებები რუსეთის მისამართით, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ანექსია, ძლიერი სიგნალია”, – აღნიშნავს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას ედუარდ შევარდნაძე.

ჟურნალისტის რეპლიკაზე **“სააკაშვილმა ივანიშვილს შესთავაზა, მზად ვარ გასწავლო, რუსებთან როგორ უნდა მოიქცეო”**, შევარდნაძე პასუხობს:

“ეს უდიდესი ცინიზმია მისი მხრიდან. ამ კაცის უპასუხისმგებლო ქმედებებმა 2008 წლის აგვისტოში ცხინვალი დაგვაკარგვინა და ახლა, უკვე მიმავალი, ცდილობს ახლა ხელისუფლებასაც იგივე შეცდომა ჩაადენინოს. მადლობა ღმერთს, ივანიშვილი არ აპირებს მასთან ლაპარაკს. ბრიყვიც კი მიხვდება, რომ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა წასვლის წინ სიტუაცია არიოს. დარწმუნებული ვარ, კოაბიტაციის დასრულებაში ისიც იგულისხმება, რომ ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე ყველა თანამდებობის პირი აუცილებლად დაისჯება. პირველ რიგში კი სააკაშვილი, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მისი დაუსჯელობა არ შეიძლება, ის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის. ის ქვეყნისთვის საშიშია, რადგან არ ვიცით მისი რეალური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, არ ვიცით, როდის რას მოიმოქმედებს. არაერთხელ გითხარით, მისი მდგომარეობის შეფასება ჩემს კომპეტენციას სცილდება, ეს უკვე სხვა სფეროს წარმომადგენლებს უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ერთი შეხედვითაც ჩანს, მისი მდგომარეობა დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. მართალია, არჩევნებამდე სამი კვირაა დარჩენილი, მაგრამ როცა საქმე სააკაშვილის ტიპის ადამიანთან გვაქვს, ეს დრო საკმაოდ დიდია”, – ისე მშვიდად დასძენს ედუარდ შევარდნაძე, თითქოს მან არ შემოგვითესლა მიხეილ სააკაშვილი, რითაც შური იძია ქართველ ხალხზე მის მიმართ გამოვლენილი სიძულვილისა და უნდობლობისათვის.

მოკლედ, გველი ჩველი მანერით იხლაკნება!

“ნაცმოძრაობის” გულებიანი დროშის პიკანტური ინტერპრეტაცია – ნაცების სახე!

“ნაციონალური მოძრაობის”განახლებულ დროშას სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტსაზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ყრილობაზე გაკეთებული განცხადებებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი სწორედ ის ეპიზოდი აღმოჩნდა, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტმა და “ნაციონალური მოძრაობის”თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა ახალი პარტიული დროშა წარადგინა.

როგორც ამბობენ: “შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება”, და ნაკლებ სარწმუნოა, რომ ნაციონალთა დროშის შეცვლამ მათი მორალური შიგთავსი შეცვალოს, რადგან, კუზიანს მხოლოდ სამარე ასწორებს და არა დროშის, ღერბის, ჰიმნის ან სხვა ატრიბუტიკის შეცვლა!

სამარცხვინო და დანაშაულებრივი იყო ნაციონალთა და მათი ატამანის სააკაშვილის ცხრაწლიანი საქმიანობა საქართველოს ხელისუფლებაში და ზუსტად იმ სახით დატოვეს პოლიტიკური არენა, რაც მათ დროშაზეა გამოსახული!

რატომ? მართალია, მიხეილ სააკაშვილმა პარტიის ახალ სიმბოლოს თან ანოტაციაც დაურთო და განმარტა, რომ ოთხი გული “ქრისტიანული ფასეულობების გარშემო ერთიანდება”, თუმცა პარტიის მოწინააღმდეგეებს დროშამ სხვა ინტერპრეტაციების საშუალება მისცა; მათგან ყველაზე კრიტიკულია ფოტო, სადაც “ნაცმოძრაობის”ოთხგულიანი დროშა პირქვე ამოტრიალებულია და გულები უკანალის ფორმას იღებენ.

ილია ჭავჭავაძე და დუშეთი

(დიდი ილიას წმინდა ხსოვნისადმი არაჯეროვან დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს ჩვენი მეგობარი და აქტიური ავტორი პროფესორი თამაზ ბიბილური)

„მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“
(„ბაზაშხული“)

ილია ჭავჭავაძე იყო არა მარტო მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი და მებრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი, არამედ – დიდი მასშტაბის მკვლევარი, რომლის ინტერესები მეცნიერების მრავალ დარგს მოიცავდა. მისი პრაქტიკული მოღვაწეობა კი ქართული საზოგადოების კულტურისა და განათლების ყველა მნიშვნელოვან უბანს სწვდებოდა და მათ წარმატებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებდა. არ ყოფილა არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, ილიას თვალი რომ არ მისწვდენოდა, სიტყვა არ მიეშველებინა, რადგან „ერის წყლული აჩნდა წყლულად“.

ი. ჭავჭავაძე თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით, ქართველი ხალხის კონსოლიდაციას, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების გამოცოცხლებასა და განვითარებას ემსახურებოდა. ის იყო XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი. ამაშია მისი ეპოქალური დამსახურება. ილიამ თავისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის 10 წელი დუშეთში გაატარა. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია მის შემოქმედებით მოღვაწეობაშიც, რადგან სწორედ აქ დაწერა თავისი ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ძნელი გახლდათ, რადგან ხანგრძლივსა და მომქანცველ მგზავრობას დიდ მანძილზე ადვილად ვერ ბედავდნენ. შორს გამგზავრების გადაწყვეტილებამ ილიას სამშობლო ქვეყნის სევდა გაუჩინა. პოეტურმა ბუნებამ მისმა არ დააყოვნა და თავისი პირველი ლექსი მშობლიურ ყვარლის მთებს უძღვნა:

„სამშობლო მთებო თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენ, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება,
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“.

როდესაც გამგზავრებული ილია, დუშეთის მაზრის გავლით, სამხედრო გზით უახლოვდებოდა კავკასიონის უღელტეხილს, შემოხვდა გრიგოლ ორბელიანი. ილიას ძვირფას სახსოვრად დარჩა ეს შეხვედრა – მისი ნაამბობი ამ შეხვედრის შესახებ ჩაიწერა მწერალმა და პუბლიცისტმა იონა მეუნარგიამ: **„ჩვენ რომ რუსეთში მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი. ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელებშემოწყობილი, პირმდიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელი ნაბიჯით ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი გარემოთი – კავკასიის მთებით და ღრუბლებით გარშემოზღუდული, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასო“.** ნიშანდობლივი იყო ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლის შეხვედრა უღელტეხილზე. გრიგოლ ორბელიანი მწვერვალიდან ეშვებოდა, ილია კი ადიოდა კავკასიონზე.

რუსეთის მაშინდელმა მწერლობამ აღმავლობა განიცადა. პოეზიაში და პროზაში მეფობდნენ ჯერ ნიკოლოზ გოგოლი და მიხეილ ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი, ივანე ტურგენევი და ნიკოლოზ ნეკრასოვი. შემდეგ მათ მიემატა დიმიტრი გრიგოროვიჩი, ივანე გონჩაროვი და თეოდორე დოსტოევსკი. პუბლიცისტიკაში ბრწყინავდნენ: ნიკოლოზ ჩერნიშევსკი, ნიკოლოზ დობროლიუბოვი და დიმიტრი პისარევი. პეტერბურგის უნივერსიტეტში ასწავლიდნენ მცოდნე პროფესორები, რომლებიც იყვნენ ხელმძღვანელნი მაშინდელი ახალგაზრდობისა, მათ შორის ილიასი. საჭირო იყო უნარი და მონდომება, რომ სტუდენტს შეეთვისებინა დიდებულ მოძღვართა ცოდნა-გამოცდილება. ილიას ძალ-ღონე შესწევდა, დაკვირვებოდა მაშინდელ ჟამთა ვითარებას, აღმატებულ მწერლობასა და მეცნიერ-პროფესორთა კვლევა-ძიებას. ჩაუკვირდა და განიმსჭვალა ცოდნის დაუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალებით. გაუჩნდა სურვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, მწერლობისა. სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა გუნდის შუაგულში ჩადგომისა.

ილია საქართველოში დუშეთის მაზრის გავლით დაბრუნდა. შეჩერდა სტეფანწმინდაში (სტეფანწმინდა მაშინ დუშეთის მაზრაში შედიოდა), მოიხიბლა მისი ნახვით. **„მგზავრის წერილებში“** აღნიშნა: **„მე იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა“. „დიდებული რამ არის ეგ მყინვარწვერი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდათა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო“**

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, ეს ხმა ჩაებეჭდა ახალგაზრდა ილიას გონებაში და იგივე ხმა მოესმა მთის შვილისაგან – ჯღუნასაგან. ეს იყო მთავარი საგანი და მიზანი, რომელიც განგებამ დაუსახა ჭაბუკს. ეს შეითვისა და მთელ თავის ცხოვრებაში გზის მანათობელ ლამპრად ეპყრა ხელში. **„მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი“**, ამბობს ავტორი. **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე, თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის?“** გულდაწყვეტილმა მწერალმა მთელი თავისი დიდი ნიჭი, საკუთარი არსებობა (მათ შორის ფიზიკური) მსხვერპლად მიიტანა ამ რწმენის სამსხვერპლოზე. მისი უკანასკნელი ლექსი დუშეთის მთებში არსებულ ლამაზ ბაზალეთის ტბას ეძღვნება, რომელიც ყმაწვილური აღტაცებით არის დაწერილი. შემოქმედი ნეტარებით შესტრფოდა **„ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა“**, რომელიც თამარ დედოფალს უცხო წალკოტში ჩაუდგამს:

„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს“.
რომელშიც: „ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?“

დუშეთი და დუშელები

დუშეთის ტერიტორიაზე გათხრილი სამაროვანი ადასტურებს, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ადრინდელ ანტიკურ ხანაში უცხოვრია. დუშეთი წყაროებში პირველად 1215 წელს იხსენიება XVII ს. დასაწყისში დუშეთში არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო. აქ იდგა ნუგზარ ერისთავის სასახლე. არაგვის ერისთავთა კარზე მნიშვნელოვანი კულტურული ტრადიციები დამკვიდრდა, ამ ტრადიციებზე აღიზარდა არაერთი ქართველი მწიგნობარი. მათგან აღსანიშნავია კვიპრიანე სამთავნელი (XVII-XVIII სს.), ოთარ ერისთავი (XVIII ს.), მიტროფანე ნინოწმინდელი, კალიგრაფები იოსებ და სოფრონიოს ერისთავები, იოანე ოსეშვილი და სხვ. 1635 წელს, ქართლის მეფე როსტომმა არაგვის საერისთავოს დასამორჩილებლად მოწყობილ ლაშქრობის დროს დუშეთი გადაწვა. 1688 წელს დუშეთი კვლავ დაარბია ქართლის მეფე გიორგი XI-მ. 1743 წელს არაგვის საერისთაოს გაუქმების შემდეგ დუშეთი მნიშვნელოვნად დაკნინდა. 1756 წელს დუშეთმა ფეოდალური ქალაქის სტატუსი მიიღო. 1802 წელს იგი ახლად წარმოქმნილი დუშეთის მაზრის ცენტრი გახდა.

დუშეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში ყოფილი თბილისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი, შეიქმნა 1802 წელს. მოიცავდა თანამედროვე დუშეთის რაიონის დიდ ნაწილს. 1803 წელს დუშეთიდან სამაზრო ცენტრი გადაიტანეს ანანურში, რომელსაც უპირატესობა მისცეს, როგორც მდიდარს წყლებითა და საძოვრებით (იხ. Акты, II ტ. გვ. 7). 1821 წელს ისევ გადმოაქვთ სახელმწიფო დაწესებულებები დუშეთში, რომელიც ხელმეორედ იღებს მაზრის ქალაქის სახელს.

1840 წელს შეიქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რამაც მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების რეორგანიზაცია გამოიწვია. იმავე წელს დუშეთის მაზრა გააუქმეს. 1867 წელს დუშეთის მაზრა კვლავ აღადგინეს.

1864 წელს, 27 წლის ილია ჭავჭავაძე დუშეთში დაინიშნა მომრიგებელ-შუამავლად. ახალგაზრდა, ენერგიით, ოცნებებითა და მოღვაწეობის სურვილით სავსე კაცი გამოეთხოვა გუბერნიის ცენტრს და მიყრუებულ ქალაქში გაემგზავრა. მაშინდელი თბილისის კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება რა იყო და დუშეთისა რადა იქნებოდა? საქართველოს თავისუფლებაზე მეოცნებე კაცი დუშეთის მაზრაში გაურკვეველი დროით მოხვდა.

თამაზ ბიბილური,
პროფესორი, საზოგადოება „ილიელი“-ს თავმჯდომარე
(გაგრძელება იქნება)

პოეზიის კუთხე

ციფრების უცნაური „მარულა“

1+4=5. 41 კი 14-ის შებრუნებული სიდიდეა!

ზოგჯერ ვარდებით,
ზოგჯერ ეკლებით
გადანაცვლებით,
ჯამის შეკრებით
14, 5, 41
ერთმანეთს ავსებს,
ერთმანეთს ერთვის...
და რადგან მსურველ ოცდასამიდან,
სამი ვერ მოსრა მოსვრამ შხამითა,
იმედი ისევ შერჩათ სკამის და საპრეზიდენტო მოსასხამისა.

ალექსანდრე შენგელია

მიხეილ უკუ-აღმა-შენგელი (სააკაშვილი)

მიხეილ დამაქცევარო,
სნეულება ხარ ერისა,
შემირცხვენია ქართველი
ვინც შენს დაკრულზე მღერისა.
წიგნებით სპეკულიანტობდი,
წინსვლას ცდილობდი შტერისა,
ქართველთა დასაჩლუნგებლად
აზრები გქონდა გველისა.
შვილს ვერ აჩენდა ქართველი
დადებულ ფასის შიშითა,
კახპეპზე ყრიდი ლიმონებს,
მტერთან ვაჭრობდი მიწითა.
უცხოტომელებს მიჰყიდე
რჩეული მიწა ქართული,
გლეხკაცი მონად აქციე,
შენ მტრისგანა ხარ მართული.
შენებას ომი არჩიე
ძმათამკვლელი და უაზრო.
შერიგებაზე ქართველი
როდის ამბობდა უარსო?
იმდენი ცოდვა გკიდია,
ლამის ჩამოთვლაც ძნელია,
რომ მოგსწრებოდა, აგენტო,
დღესვე დაგხვრეტდა ბერია.
შენს წასვლის დღეზე ვოცნებობ,
მალე დადგება ნანატრი.
უფალმა გამოგვიგზავნა
შენი ჩაქოლვის გარანტი.

ჩქიმი წისქვილი

ჩქიმი წისქვილი მესოფუნსი,
ჩქიმი სქიბუ მიგრიალუ,
თეში კარსი ირი დღასი
თელ ქიანა გიტრიალუ.
სქანი წკუმა ვორექინი
მა მუთუნი ვამოზარუ,
სქანი ჩიებას ურჩქილექი,
ბთარგმნუნქი დო ლერსო ბჭარუ.
მარა თე სქანი ჩიება
ირკოსი ვაგაგინე,
სქანი სოფინდო ხინკოლიშა
ჩქიმიშ მეტი მის გარზინე.
სქანცალ უალა გერსი ვარა,
ეცალ ოღალ მის აღინე.
სი შეილებუ გინატუე
კოჩი არძო შქირენული,
თენეფიში ხვამაქიე
ძალა მუთი ქიმერჩუნი.
შქირენულიშ მარსხებელო
ჩქიმი წისქვილიე მირეფუნი.
სი მუ სასწაული რექი,
სი მიდეღი ჩქიმი გური,
მიდგაქ სი მოიგონუნი
ჩხონაფილი თიში შური.
სქანი ხანდასი ვორწყექინი,
სი მა მუჭო ვაგოცქუა,
სქანი ნაჩიებინასი
ირიართო ლერსო ფთქუა.
იხინკოლი ჩქიმი რაში,
ჩქიმი სქურიში ნარდი ქუა,
გაჭირებულ თე ქიანას
კოჩი შქირენული ვადიტუა.

ბენო ასათიანი,
ზუგდიდი

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიებს** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-241

სქურში შუა საუკუნეებში მონასტერი არსებობდა. 1639 წელს სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მეფის ელჩები პ. ზახარიევი, ფ. ელჩინი ესტუმრნენ, რომლებმაც ნოემბერს ანდრია ცაიშელ ეპისკოპოსთან ერთად სქურის მაცხოვრის შობის მონასტერი მოინახულეს და აღწერეს მონასტერი. სქური მოხსენებული აქვს (1654 წ.) იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის რუკაზე **„სკუროლის“** სახელით. სქურის მონასტრის შესახებ გარკვეული ცნობები დაგვიტოვა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმა; რომელიც 1665 წელს იმყოფებოდა სამეგრელოს სამთავროში (მასალები მოტანილი გვაქვს პაპუნა გაბისონიას ნაშრომიდან **„სქურის ისტორიული ძეგლები“.** იხ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომების **კრებული „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“,** IX, 2007 წ. გვ. 274-281.).

წალენჯიხის რაიონში მინერალური წყლისა და კურორტ სქურის გარდა,– წერს იაკობ ახუაშვილი, მთელს ხეობას თავისი სახელი გადასდო –ეწოდა სქურის ხეობა – უბანსაც ჰქვია; სქური ეწოდება წყაროს სოფელ აბასთუმანში (ზუგდიდის რაიონი); ხამისქურე – ხობის რაიონში; სქურდალი – ღელეა საჭედილაში (მარტვილის რაიონი); სქურდილა ღელეა სოფელ ობუჯში, ჭანისწყლის მარჯვენა შენაკადი; სქურდი მდინარეა ღეძაძამეში (სენაკის რაიონში); კიდევ მრავალ ღელეს, წყაროს მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ზუგდიდის, სენაკის რაიონებში ჰქვია სქური; მასქური ეწოდება ლუგელას ხეობიდან ხობისწყლის დინების მიმართულებით გამომდინარე ზღვაურს (ნიავს); აგრეთვე მდინარის ნაპირზე ზაფხულში ქარის ქროლვას მასკურია ქვია, რომელიც ხანგრძლივ ტროსს – კარგ ამინდებს ნიშნავს; ქობულეთის რაიონში წყლის აღმნიშვნელად შემონახულია სახელი სკური **–„სკურუჩა“,„სკურჩა“** (იაკობ ახუაშვილი, სქური და დიოსკურია, გაზ. „დიოსკურია“, 2007 წ. დეკემბერი, №47, გვ. 8.) და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში ქალაქი ართვინი 9 კვარტლად ყოფილა დაყოფილი. **„ისკების კვარტალი ბაღებშია ჩაფლული, ხოლო ართვინის მთელი ზემო ნაწილი უკავია კამკასურის (კამკასქურის) კვარტალს, აქ ყოველთვის გრილა ვიდრე ართვინის ცენტრში, ამიტომ ამ კვარტალში ძირითადად აგებენ აგარაკებს, ხოლო მიწის ნაკვეთები ძირითადად დაკავებულია ხილის ხეებითა და თამბაქოს ნარგავებით“.** წერს 1912 წელს ართვინში მოღვაწე რუსი მოხელე (Артвинъ и Артвинский округъ, материаль по родинов ъ дънию, Составитель смотритель Артвинского училиша, Н. Е. Солнышкинъ, Тифлисъ, 1912, стр. 8.).

სტრაბონიდანაც ვგებულობთ, რომ ერთ დროს პონტოში და ფრიგიაში ცხოვრობდნენ ქართველი ტომები, რომლებიც მთვარის თაყვანისმცემლები ყოფილან (ივ. ჯავახიშვილი). ვინ იყვნენ პონტოს ფრიგიელები? – ისინი იყვნენ უძველესი პერიოდის მეგრელები, რომლებიც შთამომავლობით ენათესავებოდნენ მეგრელ ქალდიელებს – **„პონტოს ფრიგიელი ტომები მეგრელები ყოფილან“.** ცნობილია, რომ ქრისტეს შობამდე შავი ზღვა ამავე დროს იწოდებოდა პონტოს ზღვად. გამოჩენილი მეცნიერის პროფ. მიხაკო წერეთლის თქმით, მცირე აზიელ ტომებს – ხეთებსა და ქალდეველებს, მცხეთაში საკუთარი კერპები ჰქონიათ – ზადენ და არმაზი, რომლებიც ქრისტიანებმა გაანადგურეს. ხეთები და ქალდები მცირეაზიელი შორეული პერიოდის მეგრელები იყვნენ,– წერს ბ. სართანია და შემდეგ ამბობს: **„ლაზ-მეგრელთა სამკვიდრებელ ჭოროხის ხეობაში, ქორთუ ხალხის წარმოშობას სულ დიდი სამი ათასი წლის ისტორია თუ ექნება. ხოლო, ახლო აღმოსავლეთელ მეგრელების არსებობას, აზიიდან მოყოლებული კოლხეთამდე, სულ მცირე სამჯერ მეტი ხნის ისტორია აქვს.**

დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომები მეგრელები, ლაზები, სვანები; აფხაზები-კოლხები ერთ ძლიერ სახელმწიფოდ იყვნენ გაერთიანებულნი – ლაზ-მეგრელთა სახელმწიფოს სახელწოდებით, რომელთა ქვეყანა მსოფლიოში განთქმული იყო თავისი კულტურით, სამხედრო ძლიერებით, საწარმოო ტექნიკით, კანონმდებლობით, მშვიდობისმოყვარეობით, მოწესრიგებული შრომით, აყვავებული ბუნებით“.

ტუაფსის ჩრდილო მთიანეთზე, ჯიქების რაიონი, ანტიკურ ხანაში დასახლებული იყო ლაზებით და მეგრელებით (პ. ინგოროყვა). ბერძენი ისტორიკოსების და აკად. ლატიშევის გადმოცემით, ქრისტეს შემდეგაც კოლხეთი ერთ მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა და ერთი მეფე ჰყავდათ. კოლხებმა ელინთა სადღესასწაულო შეკრება-ყრილობაზე თავი ისახელეს რიტორიკითა და მჭერმეტყველებით. ლაზიკაში საკუთარი დამწერლობა ჰქონიათ, სახელმწიფო მართვა-გამგეობა დაწინაურებული ყოფილა (ივ. ჯავახიშვილი). კოლხეთის დედაქალაქი ყოფილა ძველი ნოქალაქევი, უფრო გვიან ქუთაისი, კუტაია (ქოტაია). ქოტაია იყო ციხე-სიმაგრე, რომელიც მეფე ტაია ლაზიმ ააშენა. როგორც ითქვა, ქალაქს მეფის სახელი ეწოდა (ციხე ტაიას ანაგები). უთუოდ აქედანაა წარმოებული ჯერ ქუტაია, ქოტაისი, შემდეგ ქუთაისი ამბობს ბ. სართანია.

როგორც ითქვა, ტერმინი **„ქორთუ“** ბ. სართანიას მიხედვითაც მომდინარეობს მეგრულ-ჭანურიდან. **„ქორთუს“** წარმოშობა დასავლურ ნიადაგზეა სავარაუდებელიო – ამბობს აკად. გიორგი მელიქიშვილი **(„ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის“).** ის თვლის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ხალხები მეგრელები იყვნენ.

ბ. სართანიას მოაქვს ერთი ადგილი აკად. ნიკო მარიდან, რომელშიც ამბობს: იბერია იყო სამეგრელო და არა აღმოსავლეთ საქართველო. იბერები იყვნენ მეგრელები, რომლებმაც აღმოსავლეთ საქართველოში შემოიტანეს ქრისტიანობა. მეგრელებსა და ლაზებს იერუსალიმში ჰქონდათ ქრისტიანული ეკლესიები. კოლხეთის ხალხს საკუთარ ენოვნებად მეგრული ენა ჰქონდათ, მაგრამ ყოველივე ის სხვებმა თავისად გარდაქმნესო (ბ. სართანია, ძველი კოლხეთი, გვ. 52-54, 78.).

გვინდა ისიც ვთქვათ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოზაიკური წარწერა ასეთი იყო: **„იდექით მტკიცედ და შეურყევლად!“**

რომ ლაზ-მეგრელთა ერთ-ერთი პირველი სამკვიდრებელი იყო ჭოროხის ხეობა. როდესაც ძველ კოლხეთში ხალხი მომრავლდა, დაისვა საკითხი ამ დიდი ოჯახიდან ნაწილის გამოყოფის შესახებ. სიტყვა **„ქორთუს“** წინა ასო **„ქ“** ზედმეტი სუფიქსია და ნამდვილად სიტყვა **„ორთუ“** – გაყოფას – გასაყოფელს ნიშნავს მეგრულად. **„ნართი“** დიდი ოჯახიდან ახლად გამოყოფილ ოჯახს ნიშნავს. **„ორთუ“**-გამოყოფილი ხალხი დასახლდა მცხეთაში და მის მიდამოებში – პირველი ორთუ – **„ქორთუ“** იყო მეგრელების მცხეთა. ახლა ქართს თბილისი ჰქვია, მაგრამ მეგრელები მაინც ქართის უწოდებენ, – წერს ბ. სართანია.

უნდა ითქვას, რომ მეგრელები ადრევე გაეცნენ ვარსკვლავის ღვთაებას **„მარგარე“**-ს, საიდანაც წარმომდგარია სატომო სახელი **„მეგრელი“.** მეგრელებს ეხლაც სწამთ და ბავშვის დაბადებისთანავე მკითხავის საშუალებით ცდილობენ გაიგონ რომელი ბედის ვარსკვლავზე, რომელ ეტლზე დაიბადა ბავშვი.

ბერძენ ისტორიკოს – მკვლევარებს და ქართველ მეცნიერებსაც ზუსტად არ ჰქონდათ დადგენილი, თუ სიტყვა **„იბერი“** სად და როდის ჩამოყალიბდა. როგორც აღინიშნა, ნიკო მარს **„იბერი“** მეგრულ სიტყვად მიაჩნია, ხოლო იბერებად – მეგრელები, რასაც არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნ. მარი ამბობს: იბერად სამეგრელო და იბერებად მეგრელები იწოდებოდნენ, მაგრამ ბერძნებმა ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოსაც შეარქვეს. აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მეგრელ-იბერებმა შემოიტანესო. ლაზებსა და მეგრელებს იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესია ჰქონდათო. იბერ-ლაზ-მეგრელებს ქრისტეს შემდეგაც – VI-VII საუკუნეებში საკუთარი მეგრული ენა მთლიანად დაცული ჰქონდათ. ნ. მარი იმასაც აღნიშნავს, რომ **„მეგრული ძვირფას მასალას გვაძლევს ქართული სიტყვიერებისათვის“.**

პროფ. გ. ჭელიძე იბერებზე ამბობს: **„პლატონიც და არისტოტელეც იხსენებდნენ იბერებს, სტრაბონი ერთ კონტექსტში აქცევდა კოლხეთსა და იბერიას“** (გიზო ჭელიძე, ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან, გვ.37.).

ვიმეორებთ: **„სიტყვა იბერი“** მეგრული სიტყვაა და მიაჩნიათ ქრისტიანობის პირველი თანამგზავრია. როგორც აღინიშნა, პალესტინასა და იერუსალიმში მეგრელები ცხოვრობდნენ და იერუსალიმში ქრისტიანობის გავრცელება პირველად მეგრელებმა დაიწყეს, მაგრამ ისრაელთა კეისარი სასტიკად ებრძოდა ქრისტიანობას. ქრისტიანობის მოთავე იესო ჯვარს აცვეს, ქრისტიანებს ცოცხლად მარხავდნენ, გახურებული შანთით აწამებდნენ. იერუსალიმში ქრისტიანობის დევნა IV საუკუნეშიც გრძელდებოდა. იერუსალიმის კეისარმა თავი მოკვეთა იერუსალიმელ გიორგის (გიორგი, როგორც ქრისტიანობისათვის თავდადებული წმინდანად იქნა აღიარებული).

ამაზე უფრო ვრცლად გვინდა ვთქვათ: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ორჯერ – 23 ნოემბერს და 6 მაისს დიდმოწამე გიორგის ხსენებას ზეიმობს. 23 ნოემბერს გიორგი ბორბალზე აწამეს. ხოლო 6 მაისს თავი მოჰკვეთეს.

წმ. გიორგი ერთადერთი წმინდანია, რომელსაც ხატებზე ცხენზე ამხედრებულსა და მახვილით ხელში გამოხატავენ. საქართველოს გამქრისტიანებელი წმ. ნინოც კაპადოკიელი და გიორგის ახლო ნათესავი, ბიძაშვილი იყო. არსენ იყალთოელის ცნობით ქართველმა ხალხმა მისგან (წმ. ნინოსაგან) შეიტყო წმ. გიორგის მოწამეობის შესახებ. კაპადოკიის ძირეულ მოსახლეობას, როგორც ითქვა, ქართული ტომები კოლხ – მესხები შეადგენდნენ. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა **„მადლის“** თავმჯდომარეა პროფ. გვანცა კოპლატაძე წერს: **„ლეონ გრამატიკოსი, კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომელიც ამავე დროს ბიზანტიის იმპერატორიც იყო და სხვა ისტორიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ კაპადოკიელები იგივე მესხები (მეგრელები – კ. შ.) არიან“** – რომ ეს ცნობა I საუკუნის ებრაელ ისტორიკოს იოსებ ფლავიუსს აქვს მოცემული.

წმ. გიორგიმ თავისი ქონება გლახაკებს და დავრდომილებს დაურიგა.

დიდი წამების თუ ვედრების შემდეგ მან არ უარყო ქრისტიანობა, ბორბალზე გაკვრის, ახლად დამბალ, მხურვალე კირის ორმოში ჩააგდეს შემდეგ, მას თავი მოჰკვეთეს 303 წელს 23 აპრილს (ახ. სტილით 6 მაისს), პარასკევ დღეს, დილით ადრე.

ერთ-ერთი ვერსიით წმინდანი გმირავს მისი ცხენის ფეხებთან გაწოლილ დრაკონს, ან დრაკონის მაგივრად კლავს იმპერატორ დიოკლიტიანეს, რომელმაც წამების შემდეგ გიორგის თავი მოჰკვეთა, მაგრამ სულიერი გამარჯვება გიორგის დარჩა. ანდერძის თანახმად გიორგის ცხედარი დაკრძალეს პალესტინაში, ქალაქ რამალაში (გვანცა კოპლატაძის ინტერვიუ ნინო საბაშვილთან – წმინდა გიორგი წარმოშობით მესხი იყო? გაზ. **„კვირის რეზონანსი“,** 2008, 4 მაისი, №118, გვ. 1 და 16. (კაბადოკიელი მესხები, საერთოდ მესხები მეგრელები იყვნენ).).

წმინდა გიორგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატივცემულო წმინდანია საქართველოში. ზ. გამსახურდია წერს (ვიმეორებ): **„დიონისე არეოპაგელი, ანუ პეტრე იბერი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, თავად წმინდა გიორგი – ესენი ქართველური მოდგმის წარმომადგენლები არიან“.**

სასტიკი დევნის გამო იერუსალიმელ ქრისტიანთა დიდმა ჯგუფმა თავი შეაფარა მდ. ბურანუნის (ევფრატის) სათავეებს და მიმდებარე ტერიტორიებს, რომელიც მეგრელთა უძველესი საცხოვრისი იყო. მეგრელმა ქრისტიანებმა ერზრუმის მთის საზღვარზე ააშენეს დიდი ციხე-სიმაგრე, რომელსაც უწოდეს **„ჯიბერი“ – „ჯებერი“** (მეგრულად ნიშნავს უძლეველს, ძლიერს წაუქცეველს, ციხე-სიმაგრეს, აგრეთვე, მეგრულად ციხე-სიმაგრეს **„ჯიხა“** ჰქვია). აღნიშნული მხარე მალე მეორე იერუსალიმად იქცა და ქრისტიანობამ იქიდან იწყო გავრცელება. პალესტინა-იერუსალიმის კეისრები დიდი ჯარით შეესივნენ **„ჯიბერის“**, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ.

როგორც ფიქრობენ, დროთა განმავლობაში **„ჯიბერის“** ასო **„ჯ“** მოეშალა და დარჩა **„იბერი“** (სატომო სახელად იქცა). პირველი იბერები მეგრელები იყვნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ უძველესი დროიდან სამეგრელოს იბერია ერქვა.

ჯიბერელმა იბერებმა (მეგრელებმა) საუკუნის მეორე ნახევარში მოციქულთა დიდი ჯგუფი გამოაგზავნეს კოლხეთში (დღევანდელ სამეგრელოში) ქრისტიანობის გასავრცელებლად, რომლებიც პირველად ანაკლიაში მივიდნენ და იქ ტიბარები – გააქრისტიანეს, რომლის მიხედვით იბერები დაირქვეს. შემდეგ მთელი დღევანდელი სამეგრელო იბერად იქნა წოდებული. პირველ რიგში იბერებად იქცნენ ტობარები (ტიბარები), რასაც დიდი ივ. ჯავახიშვილი ადასტურებს, მხოლოდ არ უთითებს, თუ სად და როგორ მოხდა ეს ამბები.

ასევე, მეორე საუკუნის მიწურულს ტიბარ იბერებმა ქრისტიანობა გადასცეს თანამედროვე ქორთუ მეგრელებს მცხეთაში. აქედან, ნიშნად ქრისტიანობისა ქართს ეწოდა **„იბერია“** (ბ. სართანია. ძველი კოლხეთი, გვ. 56.) – მიუთითებს ბ. სართანია.

აკად. კორნელი კეკელიძე ადასტურებს, რომ II საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდნენ **„იბერები“** და მოითხოვდა სიტყვა **„ქართი“** მნიშვნელობის ახსნა-გაშიფვრას.

პროფ. სარგის კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ანბანი და მწიგნობრობა აღმოსავლეთ საქართველოში იერუსალიმელმა **„იბერებმა“** შემოიტანესო (აგრეთვე გავიხსენოთ ექ. თაყაიშვილის **„როდის შემდეგ შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?“**).

ბ. სართანია ამტკიცებს, რომ IV საუკუნის პირველი ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მასობრივად გავრცელებას ეწეოდნენ **„ჯიბერელი“** მეგრელი **„იბერები“;** მათ აგრეთვე ქრისტიანობასთან ერთად ანბანი და დამწერლობა შემოიტანეს ქართლში – თანამედროვე მცხეთაში, სამცხოში. იბერებმა ქრისტიანობის მეორე კერად აქციეს ჰერეთი, რომელიც ჰერეთის იბერად იწოდებოდა; მალე იბერი გახდა ქართლის სამეფოს სადინასტიო სახელი.

ბ. სართანიას აზრით სამეგრელომ ქრისტიანობა მიიღო III საუკუნის პირველ ნახევარში, რომელსაც ადასტურებს აკად. ნიკო მარიც. ამ შეხედულებებს ემთხვევა III საუკუნის მემატიანე ეპიფანე კვიპროსელის მონაცემები და სხვა წყაროები.

ბერძენ ისტორიკოს სოკრატეს მიაჩნია, რომ შავი ზღვის განაპირა მცხოვრები მეგრელი იბერები ესპანეთიდან ჩამოსული იბერები არიანო. მისი აზრით გამოდის, რომ სიტყვა იბერი და იბერია ესპანური ყოფილა, ეს სახელი სამეგრელოში ესპანელებს გაუვრცელებიათ. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. ივ. ჯავახიშვილს ეს შეხედულება აშკარად უსწოროდ მიაჩნდა.

ბერძენი ისტორიკოსები რეფინოზი და სოკრატე კი იმას ადასტურებენ, რომ იბერია მოთავსებულია დასავლეთ საქართველოში ლაზების ჩრდილო-აღმოსავლეთით სამეგრელოს საზღვრებში.

ბერძნებმა სამეგრელოში მოგზაურობას მოუხშირეს IV-V საუკუნეებში არა სამეგრელოს ისტორიის დასადგენად, არამედ დასაზვერავად და სავაჭროდ – ეს იყო ბერძენთა აგენტურა და VII საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნები მოულოდნელად თავს დაესხნენ კოლხეთს და დაიპყრეს იგი გიორგი ლაზის მეფობის დროს, მაგრამ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, კოლხეთის ხალხმა ბერძნები გააძევეს.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

15 მილიონი თაღლითებისთვის? ანუ მონოპოლია იაფად!

რატომ დუმს ახალი ხელისუფლება?!

იმას, რაშიც დღეს "აუთდორ. ჯი" მერიას 6 ლარს უხდის, თავად 30-40 დოლარად აქირავებს(!)

უკანონოდ მოპოვებული მონოპოლია დღესაც ბიუჯეტის ძარცვას აგრძელებს!

კეზერაშვილს მალე უგულავაც მოუჯდება გვერდით!

სახელმწიფო ბრალდება თბილისის მერს, გიგი უგულავასა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით კეზერაშვილს, სხვისი ქონების მითვისებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავება. თუმცა, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა უგულავა-კეზერაშვილის მეგობრული ტანდემი თანამდებობას, გავლენასა და ძალაუფლებას პირადი კეთილდღეობისთვის იყენებდა. გარე რეკლამაზე მოპოვებული მონოპოლია ერთ-ერთია იმ საეჭვო სქემებიდან, რომელიც ამ ორი ყოფილი და მოქმედი მადალჩინოსნის სახელს უკავშირდება. დოკუმენტები, რომლებიც ჟურნალისტმა მოიპოვა, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ირგებდნენ და საკუთარი სურვილისამებრ ცვლიდნენ ტენდერის პირობებს იმ დროს გაბატონებული პოლიტიკური კლანის წევრები. შემდეგ კი ბიზნესის ამა თუ იმ სექტორის მონოპოლიზებას ახდენდნენ და ისაკუთრებდნენ(!). სამწუხარო და გასაკვირი კი ის არის, რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც უკანონოდ მოპოვებული მონოპოლია დღემდე ხელშეუხებელია და ბიუჯეტის ძარცვას აგრძელებს.

დღეს თბილისში გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას, 2021 წლამდე, შპს **"აუთდორ. ჯი"** ფლობს. ეს კომპანია ბოლო დრომდე დავით კეზერაშვილის სახელს უკავშირდებოდა. ბილბორდებისა და მონიტორების გარდა, კომპანია რეკლამის განთავსების უფლებას ფლობს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქალაქში არსებულ საფეხმავლო ხიდებსა და თბილისის ლიფტებში. თბილისის ქუჩებში სარეკლამო ბანერის განთავსება რომ მოინდომო, პროექტი თბილისის არქიტექტურის სამსახურს უნდა შეუთანხმო, მაგრამ ნებართვა მის განთავსებაზე **"აუთდორ.ჯი"**-სგან უნდა აიღო(?!). ასევე სარეკლამო კონსტრუქციის ყოველ 1 კვადრატულ მეტრზე, რომელსაც თავად აღმართავ, ფული მონოპოლისტ "აუთდორ. ჯი"-ს უნდა გადაუხადო. **"აუთდორ.ჯი"**-ს გარდა, ქალაქში გარე რეკლამის ინფრასტრუქტურის მცირე ნაწილს რამდენიმე სხვა სარეკლამო კომპანიაც ფლობს, მაგრამ ისინიც კი თავის საკუთარ ფარებსა და სხვა სარეკლამო საშუალებებზე რეკლამის განთავსებისთვის გარე რეკლამის **"პატრონს" – "აუთდორს"**, იჯარის თანხას უხდიან. ერთი კომპანიისთვის ექსკლუზიური უფლებების გადაცემითა და კონკურენტების ჩამოშორებით ერთი ჯგუფის ხელში აღმოჩნდა, როგორც მასშტაბური სარეკლამო პოლიტიკური ბერკეტები, ასევე მილიონების შოვნის გარანტირებული შესაძლებლობა. თუმცა, ამას წინ უძღოდა ძალზე საეჭვო სქემა, რომელიც იმ დროს საჯარო და გამჭვირვალე აუქციონის სახელით **"კარგად"** შეიფუთა.

ჯაბა სამუშია, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: **"არსებობს 2006 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, თბილისში გარე რეკლამის რეგულირების საკითხი მთლიანად საკრებულოს კომპეტენცია იყო. მაგრამ, ვინაიდან მავანთ ჩაფიქრებული ჰქონდათ ეს სფერო ხელში ჩაეგდოთ, 2009 წლის 6 თებერვალს მერია შემოდის ინიციატივით და საკრებულოს ართმევს გარე რეკლამის რეგულირების უფლებას. მერიის ამ ინიციატივას ყოველგვარი წინაადმდეგობის გარეშე ეთანხმება საკრებულოს მაშინდელი უმრავლესობა და დოკუმენტს ხელს აწერს საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, თბილისის მერია აცხადებს აუქციონს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემაზე. აუქციონი იმართება 2 აპრილს და 3 აპრილს მერია უკვე გადასცემს ნებართვას აუქციონში გამარჯვებულ "აუთდორ.ჯი"-ს და "მაგი სტილი მედიას". მაგრამ აქ მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც აუცილებლად უნდა გახდეს ცალკე შესწავლის საგანი და საკრებულოს სარევიზიო კომისია უნდა ჩაერთოს აღნიშნული საკითხის შესწავლაში. აუქციონის პირობებში მითითებულია, რომ ნებართვის საფასურის მინიმალური ოდენობა 1 კვ.მეტრზე განისაზღვრება 18 ლარით.**

თუმცა ნებართვაში, რომელიც კომპანიებზე მერიის სააუქციონო კომისიამ მეორე დღეს გასცა, რეკლამის განთავსებისთვის თანხა 1 კვ.მეტრზე 6 ლარამდე შემცირდა(?). ფაქტობრივად, მოხდა მესამედი თანხის დაწესება, რაც, ბუნებრივია, კანონდარღვევაა. შემდეგ კი მოხდა ის, რომ "მაგი სტილი მედიამ" გარე რეკლამის თავისი ნებართვა უსასყიდლოდ დაუთმო "სმოდ ედვერთაიზინგს", რომელიც, თავის მხრივ, ისევ "აუთდორთან" ასოცირდება და ერთი ჰოლდინგის წევრები არიან. ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, მერიამ გარე რეკლამის მონოპოლიზებაც მოახდინა. ეს იყო სააკაშვილის მთავარი პოლიტიკა.

ამის წინა პირობა იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება, რომ შემდეგ ბიზნესის ყველაზე საინტერესო სფეროებში მონოპოლისტები შემოეყვანათ.

ამის შესანიშნავი მაგალითია სამარშრუტო ტაქსების ტენდერიც. როცა მთელ ქალაქში მხოლოდ ერთ სუბიექტს აქვს გარე რეკლამის განთავსების უფლება, ეს, რა თქმა უნდა, ქმნის საკმაოდ მძიმე ვითარებას, როგორც ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, ასევე კორუფციული გარიგებებისთვის და შესაძლოა იქცეს ძლიერ ბერკეტად ნებისმიერი ხელისუფლების ხელში, რომელსაც შეუძლია ერთი კონკრეტული კომპანიის მეშვეობით მართოს თბილისში გარე რეკლამის განთავსების ან არგანთავსების საკითხები. სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ საკითხების შესწავლა, სამართლებრივი დასკვნის დადება ტენდერის ჩატარების მართებულობაზე და რაც მთავარია, საკრებულომ უნდა დაიბრუნოს თავისი უფლება გარე რეკლამის რეგულაციასთან დაკავშირებით. თბილისი შესაძლებელია გაიყოს არა მხოლოდ რამდენიმე ლოტად, არამედ ლოტები იყოს დიფერენცირებული ბილბორდებისთვის, ლაითბოქსებისთვის და სხვა საშუალებებისთვის.

და კიდევ, მნიშვნელოვანია, რა ზარალი მიიღო ბიუჯეტმა ამ დანაშაულებრივი ტენდერით. როცა აუქციონს აცხადებ 18 ლარზე და ჩატარებიდან მეორე დღეს ამ თანხას თვითნებურად 6 ლარამდე ამცირებ, გამოდის, რომ ამ ხნის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტმა დაახლოებით 15 მილიონი ლარი იზარალა. ვფიქრობ, ეს საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ ამ დოკუმენტების შესწავლით შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ".

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲩᲐᲩᲣᲐ, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მედიაანალიტიკოსი: "2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ორივე კომპანია, "სმოდი" და "აუთდორ.ჯი", ოფიციალურად დავით იაკობაშვილის მფლობელობაში გადავიდა. იაკობაშვილის მფლობელობაში კეზერაშვილის რამდენიმე სხვა კომპანიაც აღმოჩნდა. იაკობაშვილის წარმომადგენელმა ალექსანდრე ბერიძემ, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ ბიზნესმენი "აუთდორ.ჯი"-ს ფლობს, მაგრამ კომპანიის მფლობელის შეცვლა საჯარო რეესტრის დოკუმენტებში ამ დრომდე არ ასახულა. შესაძლოა, გარიგებები ოფშორულ კომპანიებს შორის მოხდა, ეს კი ადგილობრივ დოკუმენტებში შესაძლოა, არც აისახოს (თუმცა, დაუდასტურებელი ინფორმაციით, რეალურად "აუთდორს" ისევ დავით კეზერაშვილი აკონტროლებს – ავტ.).

ის ფაქტი, რომ 2009 წელს თბილისში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოსაპოვებლად გამოცხადებული აუქციონის პირობები არ ემთხვევა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში მოცემულ პირობებს, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს კანონდარღვევასთან. შესასწავლია, არსებობს თუ არა აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებასა და გაფორმებულ ოქმს შორის რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დადასტურდება, მოხდა თუ არა აუქციონის პირობების ცვლილება და 1 კვ. მეტრზე 18 ლარის ოდენობის გადასახდელის 6 ლარამდე შემცირება. ან ხომ არ მოხდა აუქციონის მეორედ გამოცხადება, სადაც სახეცვლილი პირობები იყო წარმოდგენილი, თუმცა ჩვენ ასეთი მეორე აუქციონის შესახებ არაფერი გვსმენია და ამის შესახებ საჯარო წყაროებში არანაირი ინფორმაცია არ იძებნება".

რეკლამის განთავსებაზე ნებართვის გამცემ სააუქციონო კომისიას იმ დროს მამუკა ახვლედიანი ხელმძღვანელობდა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე სწორედ მისი ხელმოწერაა. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით მამუკა ახვლედიანს მივმართე, წარვუდგინე დოკუმენტები და ვთხოვე, აეხსნა, როგორ მოხდა აუქციონის დროს გამოცხადებული მინიმალური 18 ლარის 6 ლარამდე შემცირება. **"მართლა არ ვიცი... ეს იმ პერიოდის არის? ქონების მართვას მიაკითხეთ რა. წარმოდგენა არა მაქვს! არ შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო! შეიძლება ჩაიშალა და მერე თავიდან ჩატარდა?"** – ახვლედიანმა ვერაფრით გაიხსენა როგორ მოხდა 18 ლარის 6-მდე შემცირება და გასარკვევად ქონების მართვის სამსახურს დაურეკა. მოგვიანებით კი ტელეფონით ასეთი კომენტარი გააკეთა: **"როცა სააუქციონო პირობები გამოცხადდა, ნათქვამი იყო, რომ საანგარიშგებო პერიოდში მინიმალური გადასახადი 18 ლარი უნდა ყოფილიყო. იმ დროს კომპანიებისთვის ასეთი პრაქტიკა არსებობდა, რომ ანგარიშგებას მერიასთან სამ თვეში ერთხელ აწარმოებდნენ. შესაბამისად, სამ თვეში ერთხელ 18 ლარი უნდა გადაეხადათ. შემდეგ კი ხელშეკრულება გაფორმდა თითოეულ თვეზე გადახდის პირობით და სარეკლამო კომპანიები დღემდე კვადრატულ მეტრზე მერიას 6 ლარს უხდიან".**

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც სააუქციონო განცხადებაში და არც სანებართვო დოკუმენტში მითითებული არ არის, რომ საანგარიშო პერიოდის ვადა – 3 თვეა და არც ის, რომ 6 ლარი კომპანიებს თვეში ერთხელ უნდა გადაეხადათ. უნდა ვაღიარო, რომ მეგონა, უფრო რთული სქემა იქნებოდა ტენდერის **"გასაპრავებლად"**, ეს კი მარტივ თაღლითობას ჰგავს, რომლისთვისაც ზედმეტად თავი არც შეიწუხეს და ვადები არ დააზუსტეს. სამაგიეროდ ზუსტად ის არის ცნობილი, რომ იმას, რაშიც დღეს **"აუთდორ. ჯი"** მერიას 6 ლარს უხდის, თავად 30-40 დოლარად აქირავებს(!).

ამ ფაქტს კი ზედმეტი კომენტირება ნამდვილად არ სჭირდება.

P.S. ვფიქრობ, სამართლიანობის დამკვიდრება ქვეყანაში სწორედ ასეთი თვალთმაქცური სქემების გამოვლენით და კარტელური გარიგებების მოშლით უნდა დაიწყოს. მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი დღესავით ნათელია და მონოპოლია გარე რეკლამის სექტორში ცხადზე ცხადია. მონოპოლიასა და სამოხელეო დანაშაულთან ბრძოლა კი ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო გზავნილი იყო. მონოპოლიის მოშლითა და გარე რეკლამის ბაზრის გახსნით, ერთი მხრივ, კერძო სექტორს მიეცემა სტიმული განვითარებისთვის და გარე რეკლამის ბაზარზე ერთის ნაცვლად რამდენიმე მოთამაშე შემოვა, რაც ბიზნესსაც განავითარებს და მეტ სამუშაო ადგილსაც შექმნის, ხოლო მეორე მხრივ, ქალაქის ბიუჯეტი სამართლიანი, დიდ და გამჭვირვალე ტენდერისა და რეალური საჯარო გადასახადის დაწესების პირობებში, მინიმუმ სამჯერ მეტ შემოსავალს მიიღებს(!!!). და ეს იმ პირობებში, როცა თბილისის მერია გამუდმებით საბიუჯეტო სახსრების სიმცირეზე წუწუნებს – ხან საბავშვო ბაღებისთვის არ ჰყოფნის ფული, ხან კი ამხანაგობების დასაფინანსებლად.

ამის მიღწევა კი მარტივად შეიძლება, ცრუ აუქციონის შედეგების გაუქმებით და ახალი, საჯარო და სამართლიანი აუქციონის გამოცხადებით, სადაც პრივილეგირებული კომპანიები აღარ იქნებიან.

ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ორიოდე კვირის წინ გაზეთ **"რეზონანსის"** მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა ხელისუფლებას გარე რეკლამის ბაზარზე არსებული მონოპოლიური ვითარების მოწესრიგებისკენ მოუწოდა: **"რეალურად, ბაზარზე მონოპოლიური ვითარება გვაქვს. ფაქტობრივად, ერთ კომპანიას აქვს ყველაფერი – წინა არჩევნების დროს ამ სისტემამ იმუშავა ერთი პარტიის სასარგებლოდ. მონოპოლიური ვითარება შექმნილია როგორც პოლიტიკური მიზნიდან, ისე ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარებაზე საფიქრალია. უნდა მოიძებნოს უფრო სამართლიანი ფორმა ამ ბაზრის მოწესრიგებისთვის".**

"ᲐᲑᲚᲐᲑᲣᲓᲐᲨᲘ" ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲬᲚᲐᲠᲗᲘᲜᲔᲜ

2011 წლის 13 დეკემბერი. **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"** სარეკლამო ბაზრის ანგარიშს აქვეყნებს:

"საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის ნაკლებობითა და ბაზრის მძლავრი კონცენტრაციით ხასიათდება, რადგან მის დიდ ნაწილს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და მასთან დაკავშირებული ახლო მეგობრებისა და ნათესავების ქსელი აკონტროლებს. სარეკლამო სექტორს შიგნით მოთამაშეების ურთიერთკავშირის დადგენისას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" აღმოაჩინა, რომ პანამაში და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული რამდენიმე ოფშორული კომპანია მალავს კომპანიის რეალური მფლობელების სახელებს და ფინანსურ ნაკადს.

თბილისის გარე რეკლამის სეგმენტში დომინანტი პოზიცია "აუთდორ.ჯი"-ს უკავია. თბილისის მერიის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ დედაქალაქში გარე რეკლამებზე გაცემული ყველა ნებართვის ვადა, რომლებიც მათ მფლობელებს არაკონკურენტული პროცესის შედეგად ჰქონდათ მოპოვებული, 2010 წლის ბოლოს ამოიწურა. ამის შედეგად, დედაქალაქის გარე რეკლემების ბაზარზე დომინანტური პოზიცია "აუთდორ.ჯი"-მ და "სმოდმა" დაიკავეს, რომელიც "აუთდორ.ჯი"-სთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიაა. "აუთდორ.ჯი" თბილისის მერიასთან ერთად ერთობლივი საწარმოს ოპერირებასაც ახდენს..."

მოდი ახლა და სათავე დაუდგინე ამგვარ მასშტაბურ თაღლითობას, რომელიც უგულავასა და მისი თანამზრახველების მახინჯ თავებში დაიბადა!

Ე. ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

თქვენ, თქვენს მეგობრებთან – მგალობლიშვილებთან, მჟავიებთან და სხვებთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ, ხელს უწყობდით ყოველივე იმას, რაც ძაბავდა ურთიერთობას ქართველებსა და აფხაზებს შორის და იწვევდა საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას. სამწუხაროდ, თქვენ არ აღმოგაჩნდათ საღი აზროვნება, სწორი პოლიტიკური ხედვა და თქვენი იდეოლოგიით წყალს ასხამდით აფხაზების წისქვილზე, რაშიც დღეს, „გაღმაშეედავეს“ პრინციპით, დანაშაულს აბრალებთ სხვას. სამწუხაროდ, ხეების იქით ტყეს ვერ ხედავდით – ვერ ამჩნევდით იმას, თუ როგორ იყო ჩასაფრებული ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, მისი პროიმპერიული ძალები, როგორ აღვივებდნენ ისინი და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ სეპარატისტულ განწყობას აფხაზეთში. ასე რომ, ყველაფერს იმაში, რაც მოხდა აფხაზეთში, თქვენი ნამოღვაწარი უდაოდ თვალსაჩინოა!

ბატონ მგალობლიშვილზე, არშემდგარ მხატვარ-პოლიტიკოსსა და პოლიტიკაში მის „ნაშიერ“ კიღურაძე-მჟავიაზე (სხვათა შორის, ძალიან საინტერესოდ ჰყვება ბატონი თემური იმაზე, თუ როგორ გადაიქცნენ ისინი – კიღურაძეები მჟავიებად, მოაყოლიეთ და მოუსმინეთ, ძალზე საინტერესოა!), და იმ ხალხზე რა მოგახსენოთ, რომელთა სინდისზეა, სხვებთან ერთად, იმ აპარტეიდული, დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღება, რომელმაც დაღუპა ეს ქვეყანა (დეტალებზე მოგვიანებით შევჩერდები).

მე არ მჯერა, მათ რომ უყვართ აფხაზეთი და მისი მოსახლეობა, ვინაიდან, აქ ფეხამდგარ-გაზრდილთ, მთელი ცხოვრების მანძილზე, ერთხელაც არ წამოსცდენიათ თვინიერი ერთი კოლხური სიტყვა და ამიტომ ჩემთვის ნაკლებად სარწმუნოა, რომ აწუხებდეთ კოლხეთის (კოლხების!) და საერთოდ, ქვეყნის ბედი, მაგრამ თქვენ რა დაგემართად, ბატონო ჯემალ?! ჩემთან საუბარში რატომ ამართლებდით ასეთ არნახულ და გონიერებას მოკლებულ დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღებას?! ალბათ, იმიტომ, რომ იყავით „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფილიალის წევრი და, ამდენად, ჭარბობდათქვენში, ასე ვთქვათ, უწყებრივი აზროვნება ან ყვარყვარიზმის სენით იყავით შეპრყობილი და დუმდით – ინერტულობას არჩევდით აქტიურ საქმიანობას. ყოველივე ამით, თქვენი ვაი-პოლიტიკოსობასთან ერთად, მყისიერად უწყობდით ხელს აფხაზეთში სეპარატიზმის აღზევებას და ორივე მხარეს უქსევდით ერთმანეთთან!

ასე რომ, თქვენი “გვარი და სახელი (ბევრ სხვა „ღვაწლმოსილ“ ადამიანებთან ერთად) ისტორიას დარჩება!“

მცდარია, ალბათ, იმგვარი პოლიტიკის გაგრძელება, თითქოს აფხაზეთი საქართველოს ისეთივე კუთხეა, როგორც კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და ა. შ. ვიმეორებთ, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენს მიერ აფხაზების და მათი აბორიგენობის არაღიარების პოლიტიკა უპერსპექტივო აღმოჩნდა და ამან ჩიხში შეგვიყვანა. ეს ფაქტია და, გვინდა თუ არა, ამას თვალი, უნდა გავუსწოროთ თუ გვსურს აფხაზებთან შერიგება, მათთან კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმის ჩამოყალიბება და დამკვიდრება. ეს შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ დღეისთვის ალტერნატიული გზა არ ჩანს.

უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ 1947 წლიდან მოყოლებული, დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიზნით, პერმანენტულადხდებოდა ქართველების კომპაქტური ჩასახლება აფხაზეთში. ვფიქრობ, ახლაც, მხოლოდ ასეთი აღიარების პოლიტიკით, ისტორიული სიმართლის დანახვით, შეცდომების მონანიებით არის შესაძლებელი არსებული პრობლემების დაძლევა, მხარეებს შორის გაუცხოების პროცესის შენელება, ინტერესებისდაახლოება და ურთიერთნდობის აღდგენა. მხოლოდ სიმართლის აღიარებით, აფხაზებისთვისალტერნატივის - არჩევანისპირობებისდაგარემოსშექმნითაა შესაძლებელიჩატეხილიხიდებისაღდგენააფხაზეთისკენმიმავალგზებზე. მხოლოდ ასეა შესაძლებელი აფხაზების შემობრუნება და აფხაზეთის საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოებრივ სამართლებრივ სივრცეში მოქცევა. სხვაგვარად აფხაზეთისკენ გზა ჩახერგილია! ეს არის ერთადერთი სწორი არჩევანი და ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ!

აფხაზებთან დიალოგი შეცდომების აღიარებით უნდა დავიწყოთ. ეს ორივე მხარისთვისაა აუცილებელი! ჩემს ოპონენტებს (და არა მარტო მათ) ჰგონიათ, რომ შეცდომების აღიარება და სამართლიანობის აღდგენა სეპარატისტების წისქვილზე დაასხამს წყალს. მოდით, ნუ დავემსგავსებით ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემას, რადგან აფხაზებმა ისედაც მშვენივრად იციან ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები, ხოლო აღიარება და მათი მონანიება შერიგების გზაზე უპირველესი პოზიტიური მომენტი და თანამგზავრია, რის გარეშეც ყველა სხვა მცდელობა არარეალური და უშედეგოა.

ეს მშვენივრად ესმით ჩვენს ვაი-პოლიტიკოსებსაც, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ გზით ისინი ვერ გაივლიან. ჯერ ერთი, ყოველი მათი შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა და ამიტომ არც აქვთ მათი პატიების იმედი. აფხაზეთში მათ არავინ მოელის – არც აფხაზები და არც დევნილი მოსახლეობა. ამდენად, მათთან ყოველგვარი დიალოგი გამორიცხულია. გარდა ამისა, არც ეს უკანასკნელნი იქაჩებიან მაინცდამაინც აფხაზეთში წასასვლელად! ცხადია, ურჩევნიათ არსებული ვითარება შეინარჩუნონ. ეს მათ უფრო აძლევთ ხელს, რადგან ნაკლებად ედარდებათ აფხაზეთიდან დევნილი, გაუბედურებული ხალხისა და ქვეყნის ბედი. მათ კი არ უყვართ ეს ქვეყანა, არამედ – საკუთარი თავი ამ ქვეყანაში! ამ ადამიანებს მონანიების ნიშანწყალიც არ ეტყობათ. ბევრი მათგანი კვლავ განაგრძობს პოლიტიკურ და კომერციულ თარეშს, ქედმაღლობას და მათთვის მხოლოდ ის არის მთავარი, რომ თვითონ იყვნენ კარგად, ძალიან კარგად, სხვების თავზე კი თუნდაც ქვას უთოვია! მათ ხომ არასოდეს განუცდიათ ნამდვილი ტკივილი და არც სხვისი სატკივარი ადარდებთ! მათ არცსიდუხჭირე იციან და, აღარც – ბედის უკუღმართობა! ამიტომაცაა, რომ სადაც ტირიან, იქ ეღიმებათ, ხოლო ქილიკობენ იქ, სადაც სევდას მოუცავს ყველაფერი!

ამიტომაცაა, რომ ეს ბედოვლათები ათასგვარ ზღაპარებს თხზავენ, სხვისი დაბეზღებით ერთობიან და არად აგდებენ დიდი კონფუცის შეგონებას: „ნუ ეძებთ ბნელ ოთახში შავ კატას, ვერ დაიჭერთ, რადგან შავი კატა იქ უბრალოდ არ არის!“. ისინი სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, საკუთარში კი დირესაც ვერ ამჩნევენ. მანიპულირებენ და აპელირებენ ისეთი ფაქტებით, რომლებიც ვერ ასახავს მათ მიერ შეთხზულ რეალობებს.

დავუბრუნდეთ ისევ მთავარს და დააკვირდით ჩემი ოპონენტების მიერ კიდევ ერთ ამონარიდის დამახინჯებას წიგნის მე-15 გვერდიდან, სადაც ვწერ: „კარგად არის ცნობილი თუ რა სტატუსით სარგებლობდა იგი 1925 წლის კონსტიტუციით და როგორ ჩამოქვეითდა საკუთარ უფლებებში 1931 წლის კონსტიტუციის მიხედვით...“ აქ საუბარია იმ 1925 წლის კონსტიტუციაზე, რომელიც, ისტორიკოს ჯემალ გამახარიას მტკიცებით, მხოლოდ პროექტის სახით არსებობდა.

ცხადია, ამონარიდი ამ შემთხვევაშიც ამოგლეჯილია კონტექსტიდან –იწყება დამთავრდება მათი ამონარიდი მრავალწერტილებით. ასე რომ, მკითხველისთვის უცნობია მისი თავი და ბოლო. არადა, ზემოთ აღნიშნული ამონარიდი წიგნის მე-16 გვერდიდან ასე გრძელდება: **„Отсюда берет начало распространенное (среди абхазов! n.m.) мнение об ущемлении прав этнических абхазов, принижении и оскорблении их национального самосознания и достойнства.Основной причиной и главным радателем создавшегося положения целые поколения абхазов считали (и считают по сей день) не советскую идеологию и политику, а Грузию и грузинский народ. И главную вину в этом они возлогают на грузинских большевиков, на их лидеров, в наше же время – на не одно поколение грузинского руководства. Такое воззрение и такой менталитет абхазского народа складывались и усиливались на протяжении многих десятилетий, и с тех пор пребывает он в постоянных и беспрестанных пойсках путей, средств и возможностей избавления от «грузинского гнета». Не является секркто и то, что такие настроения подогревались, поощрялись и всячески поддерживались проимперскими силами нашего северного соседа, „преданным другом всех угнетенных“ - великой Россией“.**

უნდა ითქვას, რომ 1925 წლის ეს კონსტიტუცია არსებობდა არა მარტო ქაღალდზე, როგორც ამას ბატონი გამახარია ამტკიცებს, არამედ მოქმედი გახლდათ, მართალია, ცოტა ხნით (სულ რამდენიმე თვით), მაგრამ იგი მაინც მოქმედებდა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლამდე. მანამდე ის რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და საქართველოს შემადგენლობაში შევიდა როგორც სახელშეკრულებლო რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუციური უფლებებიც ბევრად აღემატებოდა ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებს. აი, რაზეა აქ საუბარი და მე ამას შეგნებულად თავს ვარიდებდი – ეს ფაქტი არ მომყავდა ტექსტში, არც რაიმე შეფასებას ვაკეთებდი და მხოლოდ იმას ვამბობდი, თუ რაზე იყვნენ ასე განაწყენებული ისინი – აფხაზები. ერთი სიტყვით, ვმსჯელობდი განზოგადებულად, ყოველგვარი კომენტარის, ავტორისეული სიმპათიისა და ანტიპათიის გარეშე.

ახლა კი, თუ მთლიან ტექსტს თვალს გადაავლებთ, ვინც რუსულ ენასთან-მწყრალად არ არის (რასაც ვერ ვიტყვი ჩემს ოპონენტებზე!), კარგად დაინახავთ, რომ ავტორისეული ტექსტი მოცემულია არა პირველ პირში და არც მათი, აფხაზების სახელით, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნე, განზოგადებულად დაწარმოაჩენს მხოლოდ აფხაზების თვალთახედვასა და დამოკიდებულებას პრობლემებისადმი. ვიმეორებ, აქ ავტორისეული დამოკიდებულება, გულისწყრომა ან მათი განცხადების გაზიარების ნიშანწყალიც არსად ჩანს, პირიქით, ირიბად მინიშნებულია, რომ ყველაფერი ეს საბჭოური იდეოლოგიისა და პოლიტიკის შედეგია. უფრო მეტიც, რადგან არ ვეთანხმები აფხაზების ბრალდებებს ქართველი ხალხის მიმართ, სიტყვები «грузинского гнета» ბრჭყალებში მაქვს მოთავსებული. გარდა ამისა, პირდაპირ ვამბობ, რომ აფხაზების ასეთი განწყობა დროთა განმავლობაში მწიფდებოდა, რასაც უფრო მეტად აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, „ყველა ჩაგრულის ერთგული მეგობრის“ – დიდი რუსეთის პროიმპერიული ძალები.

ნაპო მესხია,
პროფესორი

ქეთევანი – ქართველთა სხივფენილი დედოფალი

ახლაც მახსოვს, როგორ ველოდებოდი, როდის მომიტანდა დედა წიგნს, რომელსაც **“დედა ისტორია”** ერქვა. ისიც მახსოვს, როგორ სულმოუთქმელად წავიკითხე მისი ორივე ტომი და როგორ განვიცდიდი მის ფურცლებზე ასახულ ტკივილიან გზას ჩემი ქვეყნისას... მაგრამ ყველაზე მეტად ქეთევან წამებულის ამბავმა იმოქმედა – მახსოვს, დღე და ღამ მასზე ვფიქრობდი – ქალზე, რომელმაც დედოფლის გვირგვინს წამებულის გვირგვინი არჩია და წარმოუდგენელ განსაცდელს გაუძლო. მეოთხეკლასელი ბავშვი ვცდილობდი, მიმებაძა, არ შემშინებოდა, მასავით სამართლიანი და გაბედული ვყოფილიყავი, მისგან მესწავლა სიყვარული – სიყვარული ღვთისა და სამშობლოსი.

ეს შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია – კვლავ მაოცებს ის გაბედულება და სიმამაცე, რომლითაც წმინდა ქეთევანი აღუდგა წინ უდიდეს იმპერიასა და მის უსასტიკეს საჭეთმპყრობელს. კახეთის გვირგვინოსანი დედოფალი წლების განმავლობაში შაჰ აბასის საპატიო, მაგრამ მაინც მძევალი და ტყვე იყო. შაჰის კარზე დაწინაურებული დიდმოხელის, წარმოშობით ქართველის, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა და ემზადებოდა გარდაუვალი ტკივილიანი აღსასრულისათვის.

12 წელი არ ენახა მშობლიური მიწა-წყალი და სამშობლოს მონატრებას ლოცვით უმკლავდებოდა. ამას შვილისა და შვილიშვილების მონატრებაც ერთვოდა თან – ირანში ჩასულს მასთან ერთად მძევლად წაყვანილი ბავშვები მოაშორეს და აღარაფერი სმენოდა მათ შესახებ. მერე კი გაიგო, მაგრამ თავზარი დასცა გაგონილმა – ბიჭები ციხეში დაესაჭურისებინათ; ალექსანდრე გარდაცვლილა, ლევანი კი ჭკუიდან შეშლილა.

ტკივილისაგან ქვაღქცეულს იმავე დღეს შაჰის ბრძანებაც ამცნეს: ან ალაჰს აღიარებდა ღმერთად და შაჰის ცოლობის **“ღირსი”** გახდებოდა, ან წამება არ ასცდებოდა. მიხვდა ქეთევანი, რომ დადგა ჟამი, როდესაც პასუხს მოსთხოვდნენ ქრისტესა და საქართველოს სიყვარულის გამო. მაგრამ ერთი წუთითაც არ გაუვლია ფიქრად ღალატი. არც უნდილაძისა და სხვათა ვედრება შეუსმენია-სიტყვით უარყავი მხოლოდ, გულით კი კვლავ ქრისტიანად დარჩიო. რადგან იცოდა, რომ სიტყვით განვმართლდებით და სიტყვითვე დავისჯებით. შეუთვალა, რომ მტრის ცოლობას სიკვდილი ერჩია და რომ არასოდეს უარყოფდა ღმერთს.

და...

ირანელებმა ქეთევანის წამება თეატრალიზებულ სანახაობად აქციეს, რომელზე დასასწრებადაც ოფიციალურად მოიწვიეს უცხოქვეყნების ელჩები და ირანში მყოფი სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლები. სცენის ერთ მხარეს იდგა მოზეიმე ძალმომრეობა ანთებული კოცონითა და ჯალათებით, ხოლო მეორე მხარეს – უმწეო ქალი, რომლის ერთადერთ საყრდენს რწმენა წარმოადგენდა. ქართველი დედოფლის მარტვილობის დაწვრილებითი აღწერაც სწორედ კათოლიკე მისიონერთა ჩანაწერებიდან შემოგვრჩა, რომლებიც გააოგნა ქართველი დედოფლის სიმტკიცემ და გაბედულებამ, შეაძრწუნა ირანელთა სისასტიკემ.

1624 წლის 26 სექტემბერს შირაზის მთავარ მოედანზე უშველებელი კოცონი აეგიზგიზებინათ სპარსელ ჯალათებს. არც საწამებელი იარაღი დავიწყებოდათ: მარწუხები, ლურსმნებიანი სარეცელი, ნიჩაბი, შანთები... ტანჯვის ხელოვნებას სრულყოფილად დაუფლებულთ ყველაფერი გაემზადებინათ.

ქეთევანი მოედანზე გამოიყვანეს და კვლავ შესთავაზეს არჩევანი შაჰის ცოლობასა და ქრისტეს სძლობას შორის. ქეთევანმა ლოცვის ნება ითხოვა. შემწეობა შესთხოვა უფალს – და... ქართული მიწა-წყალივით დაკუწეს და დაანაწევრეს მისი სხეული, ლურსმნების სარეცელი გაუგეს და ზედ დარეცეს, ბოლოს კი სხივფენილი შუბლი გაუპეს გავარვარებული ნიჩბით.

ის თავისი ცხოვრებითა და აღსასრულით ქართველქალობის სიმბოლოდ იქცა. ქალი, დედა, დედოფალი, შეურიგებელი მებრძოლი და მოწამე – ყველაფერი დაიტია საკუთარ თავში, საკუთარი და უფლისმიერი მადლით განანათლა და განაბრწყინა.

ის დღევანდელობაშიც ქართველქალობის მაგალითად რჩება, მისაბაძ ზნეობრივ მაგალითად, რომლის ნაკლებობასაც აგრერიგად განვიცდით თანამედროვეობაში.

დღემდე ვეძებთ და ვაგროვებთ აქეთ-იქით გაფანტულ მის წმინდა ნაწილებს. ალბათ, ოდესმე ედირსება მის წმინდა სხეულს ქართულ მიწაში შეერთება, ისევე, როგორც თავად ქართულ მიწას – გამთლიანება და აღორძინება. მისი წმინდა ლოცვა შეეწიოს ყველა ქართველს სამშობლოსათვის ბრძოლაში.

მარიამ ბურჯანაძე

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

მეორე დღეს მივედი პაპაიანთან, მოვთხოვე საბოლოო ანგარიში და ისიც ვუთხარი, ჩემი მოვალეობა კაკაბაძისთვის გადაებარებინა. მან მაშინვე გამოიძახა კაკაბაძე, გამომიწერა კუთვნილი თანხა და საბუთები კაკაბაძეს გადავეცი. ამასობაში მოსაღამოვდა და მე, შეპირებისამებრ, გიორგი ხერხეულიძეს ველოდები. საღამოს 6 საათზე საველე ფოსტამ ჩვენთვის დიდად სამწუხარო ამბავი მოიტანა. შევიტყვეთ, რომ გიორგი ხერხეულიძე მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე, სადაც მან გასაოცარი თავგანწირვა გამოამჟღავნა, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. მისი დაღუპვის ამბავზე გამოქვეყნებული იყო წერილები როგორც რუსულ, ასევე ქართულ გაზეთებში. მე, სპირიდონ დგებუაძე და შალვა ფაღავა იმ საღამოსვე წამოვედით და ჩავედით ქალაქ ვარშავაში.

ვარშავა დიდი და მეტად ლამაზი ქალაქია. ჩვენ დავბინავდით სასტუმრო „დრეზდენში“ და იქ ათ დღეს დავრჩით. დავათვალიერეთ ქალაქი. რამდენჯერმე ვიყავით ვარშავის თეატრში, რომელიც საუცხოო წარმოდგენებს მართავდა. ერთ საღამოს ვნახეთ მშვენივრად დადგმული და გაფორმებული კომედია, დამცინავი სპექტაკლი, სადაც მარჯვედ იყვნენ ნაბურთავები, გამასხარავებული — გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, ავსტრიის იმპერატორი და ოტომანთა იმპერიის სულთანი.

ვარშავიდან გამოვემგზავრეთ და მშვიდობიანად ჩავედით ზუგდიდში. შინ ყველანი კარგად დამხვდნენ. გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ფოთში 120 ყუმბარის სროლის შესახებ მეტისმეტად გაზვიადებული გამოდგა. სინამდვილეში ჩამოეგდოთ ათჯერ ნაკლები, მხოლოდ 12 ყუმბარა, რასაც მსხვერპლი არც მოჰყოლოდა. ამან დაგვამშვიდა. ჩემიანებთან მცირე ხნით გავჩერდი. ამ გახურებული მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ჟამს ოჯახში აღარ დამიდგა გული და გადავწყვიტე ყარსში წავსულიყავი. წამოვიყვანე სპირიდონ დგებუაძე და თბილისში ჩამოვედით. თბილისში შემხვდა ჩემი კარგი ამხანაგი დათიკო გურამიშვილი. ამ დროს გავიგეთ, რომ თბილისში იმყოფებოდა კავკასიის ფრონტის მსროლელთა კორპუსის მეთაური გენერალი გაბაშვილი (მას, როგორც იმ დროს ჩვეოდათ, რუსულ ყაიდაზე, გაბაევად იხსენიებდნენ). დათიკო გურამიშვილის მეშვეობით, მოვახერხე გენერალ გაბაშვილის გაცნობა, მისსავე ოჯახში. გენერალ გაბაევს მოვახსენე ჩემი მდგომარეობა, სურვილი და ვუთხარი — თუ იგი დამეხმარებოდა, იჯარის საფუძველზე, შემეძლო ხორცითა და სხვა პროდუქტებით მომემარაგებინა მისი კორპუსი. მან აღმოთქვა დახმარება და მითხრა, გავმგზავრებულიყავი ყარსში და ჩასვლისთანავე მასთან გამოვცხადებულიყავი. მე და სპირიდონმა თან წავიყვანეთ კიდევ ერთი ამხანაგი, ემანუელ კიკნაველიძე. ღამის თორმეტ საათზე ჩავედით ყარსში. საშინელი სიცივე იყო. ბაქანზე მაშინვე ჩამოდგა სარაყამიშის მატარებელიც. სადგური სამხედროებითა და მოხელეებით იყო გადაჭედილი. სადგურის ბუფეტში ბუზებივით ირეოდა ხალხი. დიდი გაჭირვებით თუ გაივლიდი. მე, როგორც იქნა, მივედი ერთ გრძელ მაგიდასთან და ვიშოვე დასაჯდომი ადგილი. ჩემი ამხანაგები ცალკე, ფეხზე იდგნენ. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ გარეთ გამოვედი, რათა ისინი მენახა. ვხედავ — სპირიდონი და ემანუელი ჟანდარმს მიჰყავს. მას ორივესათვის ჩამოურთმევია იარაღი. მაშინვე წინ გადავუდექი ჟანდარმს და მოვთხოვე, ჩემი ამხანაგებისათვის იარაღი დაებრუნებინა. ჟანდარმმა მიპასუხა, რომ მან შეასრულა საეტაპო განყოფილების პოლკოვნიკის ბრძანება. მე იმწუთასვე გავექანე ხსენებულ პოლკოვნიკთან. მივესალმე და ვთხოვე, რომ მასთან სიტყვა მქონდა, ჩემი ამხანაგებისთვის იარაღის დაბრუნების თაობაზე. მან უკმეხად მიპასუხა და შემომიტია: არავითარი სიტყვა! წარმოადგინეთ ნებართვა იარაღის ტარების უფლებაზე! მე ამაყად ვუთხარი — ყვირილით ვერ შემაშინებთ-მეთქი, გამოვტრიალდი და ბუფეტში ჩემს ადგილზე დავჯექი. ხუთი წუთიც არ გასულა, შემოდის ჟანდარმთა როტმისტრი და მიცხადებს: კანონის სახელით და საფუძველზე წინადადებას გაძლევთ ჩაგვაბაროთ იარაღი!

თავზე დამდგარ როტმისტრს მოკლედ ვუპასუხე: იმავე კანონის სახელით და საფუძველზე მოვითხოვ გვაცნობოთ — რა დანაშაული ჩავიდინეთ, რომ იარაღი ჩაგაბაროთ. როტმისტრს კიდევ უფრო ამაყად და გაბედულად დავუწყე ლაპარაკი: აქ იმიტომ კი არ ჩამოვსულვარ, რომ მტერთან საბრძოლველად ჩამოვედი და სანამ ცოცხალი ვარ, ნებით ჩემს იარაღს არავის ჩავაბარებ, ძალით კი, თუ ძალიან გნებავთ, მობრძანდით და თქვენი ხელით შემომხსენით! თუ ჩემში ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ დაურეკოთ გენერალ გაბაევს და მას აცნობოთ ჩემი სახელი და გვარი!

გარშემო მყოფი იმოდენა ხალხი მე შემომყურებდა და ყველა გაფაციცებით უცდიდა, თუ რითი დამთავრდებოდა ჟანდარმებთან ჩემი შეჯახება. გაბაევის ხსენებაზე როტმისტრმა დამტოვა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა. სეირის მაყურებლები გაშტერებული მიჩერებიან კარებს და ელიან, რა ზომებს მიიღებენ ჟანდარმები. ყველანი მაინც მე შემომცქერიან სიმპათიითა და თანაგრძნობით. გადის ნახევარი საათი. უკვე ძალიან ვღელავ და ვფიქრობ — გენერალი გაბაევი ჯერ შეიძლება არც იყოს მისული თავის შტაბში ან იქნებ, ამ არეულობის ჟამს კიდევაც დავავიწყდი.

ამ უსიამოვნო ფიქრებში რომ ვარ, გაღიმებული შემოდის როტმისტრი და ტკბილად მეუბნება: Успокойтесь, господин! Ведь на лбу не написано, кто Вы такой?

საქმის ასე მოულოდნელმა შემოტრიალებამ ყველა გაახარა. როტმისტრს მოვთხოვე იარაღი დაებრუნებინა ჩემი ამხანაგებისთვის. მან იმწუთშივე უბრძანა ჟანდარმებს და ჩემს ორივე მხლებელს დაუბრუნეს იარაღი. რევოლვერებიდან ტყვიები ამოეცალათ და ისიც მაშინვე მოიტანეს. ამის მერე, როტმისტრი და ჟანდარმები მაგიდასთან მივიწვიე, ერთად ვივახშმოთ-მეთქი, მაგრამ იუხერხულეს, მადლობა გადამიხადეს და გაგვშორდნენ. ის ღამე სადგურშივე გავათიეთ.

მეორე დილი, შევედით ქალაქში და ერთი სომხის სასტუმროში დავბინავდით. კარგად მოვეწყვეთ, დავლაგდით და შემდეგ გენერალ გაბაშვილთან გავემართე. გენერალმა, დამინახა თუ არა, მხიარულად მომაძახა: აჰა! აგაწრიალეს ხომ წუხელ სადგურში ჟანდარმებმა?! ამაზე ვუპასუხე: კი ამაწრიალეს, მაგრამ, თქვენი იმედით, მეც მაგრად დავუხვდი! გაბაშვილმა ისევ მომღიმარი, გაბადრული სახით მითხრა: ყოჩაღ, ასე გაბედულად და მარჯვედ რომ მოქცეულხარ!.. იარაღი რომ წაერთმიათ, იცოდე, არ მიგიღებდი... რას ფიქრობდნენ ეგენი, ქურდ-ბაცაცებს რომ იჭერენ და ართმევენ იარაღს, ისე ხომ არ ეგონათ ჩვენი ქართველი ვაჟკაცები?!

ამ თავისებური გამხნევებისა თუ მოფერების შემდეგ, გენერალმა სასწრაფოდ გამოიძახა პოლკის მეთაური ვარლამ მიქელაძე, გააცნო ჩემი თავი და უბრძანა, ჩემთვის ჩაებარებინა პროდუქტებით მომარაგების საქმე და გაეწიათ საჭირო დახმარება. სამი დღის განმავლობაში ჩავიბარე საქმე, კიდევაც შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ არ გასულა რამდენიმე კვირაც, რომ უსინდისოდ მომექცნენ იქაური სომხები და შემომატყუეს წამხდარი ხორცი. ამ შემთხვევამ კინაღამ დიდ უბედურებას გადამკიდა. გალანძღვით არ გავლანძღულვარ, მაგრამ ძალიან შევწუხდი, როგორღაც დამცირებულად ვიგრძენი თავი, მივატოვე ეს საქმე და იძულებული შევიქენი ყარსიდან წამოვსულიყავი.

ყარსში ჩასულს, სხვათა შორის, იქ დამხვდა კუჭიკო გელოვანი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს დავალებით წითელი ჯვრის საზოგადოებას ხელმძღვანელობდა კავკასიის ფრონტზე. ჩემი წამოსვლის დროს კუჭიკო ავად იყო. ყველას დავემშვიდობე და წამოვედი სახლში. ზუგდიდში რამდენიმე დღის ჩამოსული ვიყავი, რომ გაზეთში წავიკითხე სამწუხარო ცნობა. იუწყებოდნენ: ყარსში გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს წევრი კუჭიკო გელოვანი. ცხედარი გადმოსვენებული იქნება თბილისში. დასაფლავების დღე გამოცხადდება ცალკე...

მე დასაფლავების გამოცხადებას არ დავლოდებივარ და საჩქაროდ წამოვედი თბილისში. კუჭიკოს დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბევრი სიტყვა წარმოითქვა. პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოვიდა სახელმწიფ სათათბიროს წევრი, გვარად ვარუნ სეკრეტი, რომელმაც მშვენიერი სიტყვა უთხრა განსვენებულს. მახსოვს, მან ასე მიმართა გარდაცვლილ კოლეგას: ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო კუჭიკო, მთელს სახელმწიფო სათათბიროში შენ ერთადერთი ადამიანი იყავი, რომელიც თავგამოდებით იცავდი მცირე ერების ეროვნულ ინტერესებს!..

თბილისიდან ისევ ზუგდიდში დავბრუნდი და გადავწყვიტე წერილი მიმეწერა უჩა დადიანისათვის. უჩა იმჟამად მსახურობდა ე.წ. „ტუზემნაია დივიზიაში“, რომელსაც, აგრეთვე, „დიკაია დივიზიასაც“ უწოდებდნენ. უჩას მოკლედ მივწერე ჩემს მდგომარეობაზე და ვთხოვე, თუ მისი ნაწილისთვის გამოსადეგი იქნებოდა ჩემი საქმიანობა. გამოეგზავნა ჩემთვის ვაგონის ნებართვა და მოეწერა, რისი წამოღება იყო საჭირო. უჩასგან რამდენიმე დღეში მომივიდა პასუხი, სადაც მწერდა შემეძინა, რამდენიც შემეძლო, საჩოხე მასალა, ტყავები აზიურებისათვის, ფაფახები, ქამარ-ხანჯლები და ცხენების მოკაზმულობა. ამასთანავე მწერდა, რომ გამოვცხადებულიყავი სენაკის სადგურში და მიმეღო ლიტერი ა — ე. ი. ვაგონს უფასოდ მომცემდნენ. მე დავტრიალდი, სასწრაფოდ შევიძინე საუკეთესო საჩოხე შალი სამასი ჩოხისათვის, ტყავები აზიურებისათვის, ქუდები, ცხენების მოკაზმულობა, მაგარი სასმელები (კონიაკი, არაყი). ვიყიდე, აგრეთვე, სამი ფუთი საუკეთესო რაჭული ღვინო, ხვანჭკარა. ჩემთვის ვიყიდე საუკეთესო ჯიშის ცხენი, 250 მანეთი გადავიხადე ოქროთი. მივიღე ვაგონი, ლამაზად, თადარიგიანად ჩავალაგე ყველაფერი. გავიყოლიე აზიურის საუკეთესო მკერავი ილარიონ კვარაცხელია და ჩოხის ასეთივე კარგი მკერავი ნესტორ ჩილაჩავა და გავემგზავრე.

გავიარე პოლტავა, კიევი და ჩავედი კამენეც-პოდოლსკში, გალიციის საზღვარზე. ჩვენი ჯარები კარპატებში იდგნენ. დავცალეთ ვაგონი, მოვთავსდით სასტუმროში. მივდივარ კომენდანტურაში, რათა გავიგო უჩა დადიანის დივიზიის ადგილსამყოფელი. გზად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ტანმაღალმა, ახოვანმა გენერალმა, რომელიც თავის ადიუტანტს ესაუბრებოდა. მე გვერდით ჩავუარე მათ. იმავე წუთში ადიუტანტი წამომეწია და, გენერალი ბაგრატიონი გთხოვთო, მითხრა. გამიხარდა ეს ყურადღება და გავყევი ადიუტანტს. გენერალი თავაზიანად და კეთილი ღიმილით მომესალმა, გამომკითხა ყველაფერი. ძალიან ესიამოვნა, როცა გაიგო ჩემი ვინაობა და სადილზე მიმიპატიჟა. მადლობა მოვახსენე და ჩემის მხრივ ვუთხარი, რომ მსურდა გავმასპინძლებოდი მას ჩვენი მამულის საუკეთესო ღვინით. რამდენიმე წუთში მოვატანინე სასტუმროდან ჩემი წამოღებული ხვანჭკარა. გენერალ ბაგრატიონს მეტისმეტად მოეწონა ეს ღვინო და სადილის შემდეგ საჩუქრად დავუტოვე თორმეტი ბოთლი ხვანჭკარა. მან მხურვალე მადლობა გადამიხადა და წამოსვლის დროს შემომთავაზა, რომ მეგზურად მხედარს გამაყოლებდა. მეგზურის გაყოლაზე უარი ვუთხარი, ვთხოვე, ჩემთვის მხოლოდ საგზური მოეცა. მან რამდენიმე წუთში გაამზადებინა საგზური, სადაც მარშრუტიც იყო მითითებული, მე შევჯექი ჩემს ცხენზე და გავემგზავრე კარპატებისაკენ. საღამოს ჩავაღწიე კარპატებში. ვხედავ ჩვენებურუნაგირიან ცხენებს და ჩოხიან მხედრებს. სიხარულისგან გული სხვაგვარად ამიფანცქალდა. ვკითხულობ, სად არის მეოთხე ასეული და მისი მეთაური უჩა დადიანი. იმწუთასვე შემომეხვივნენ და მიმიყვანეს უჩასთან. უჩა გადამეხვია, გადამკოცნა და გამომკითხა ყველაფერი. „ტუზემნაია დივიზიაში“ შედიოდა ექვსი პოლკი: ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, ყაბარდოელების, თათრების და ლეკების. ოფიცრები ქართველები იყვნენ. დივიზიის მეთაური ბაგრატიონამდე იყო დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

მეორე დღეს, უჩამ გამოიძახა ერთი ოფიცერი და უბრძანა, საქონლის გადმოსატანად, ჩემთვის მოეცათ დროგები და გამყოლები. დილითვე, სანამ დროგებს გაამზადებდნენ, უჩას ეძახის პოლკოვნიკი კელერი და ეკითხება — მოვიდა თუ არა თქვენთან კავკასიელი სტუმარი? პასუხად უჩამ ჩემი თავი გააცნო კელერს. პოლკოვნიკმა უთხრა უჩას — წუხელ გენერალმა ბაგრატიონმა ასე დამირეკა — როცა ჩიქოვანი მანდ ჩამოვა, როგორმე დაიყოლიეთ, რომ „ტუზემნაია დივიზიაში“ დარჩესო. უჩამ გადმომხედა და მკითხა, ხომ თანახმა იქნებიო, მე ამაზე ვუთხარი, რომ ჯერჯერობით პასუხს ვერ ვეტყოდი.

დავიძარი ჩემი დროგებით და გამყოლებით და მეორე დღესვე ყველაფერი უკლებლივ ჩამოვიტანე. ჩავაბარე ჩამოტანილი საქონელი და დიდად კმაყოფილებმა გამისწორეს ყველა ანგარიში. ნესტორ ჩილაჩავა ჩერქეზთა პოლკს მივაბარე ჩოხების მკერავად. ამ პოლკს მეთაურობდა საშა ჭავჭავაძე. ილარიონ კვარაცხელია მივაბარე ყაბარდოელთა პოლკს, რომელსაც სტაროსელსკი ედგა სათავეში. მე შემომიჩნდნენ უჩა და მთელი ქართველი ოფიცრები, რომ ჩავრიცხულიყავი პოლკში. თავიდანვე არ მქონდა მეფის ჯარში სამსახურის სურვილი, მაგრამ იმდენად არ მომცეს საშველი უჩამ, საშა ჭავჭავაძემ, ოთარ დადიანმა, ვალოდია ბერიძემ და სხვებმა, რომ მაიძულეს დავთანხმებოდი და ჩამრიცხეს უჩას ასეულში. ჩვენი ასეული შედიოდა ჩეჩენთა პოლკში, რომელსაც მეთაურობდა სპარსელი პრინცი ფაზი კაჯარსკი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აია – სოფია პირველი წარღვნამდელი ცივილიზაცია დედამიწაზე ანუ დღევანდელი მარგლები!

დღეისათვის არქეოლოგიური გათხრების შედეგად დამტკიცებულია, რომ ე.წ. შუმერებამდელი – ელ-ობეიდის კულტურის აყვავების ეპოქაში, ანუ IV ათასწ.-ის II ნახევარში მესოპოტამიაში ჩნდებიან შუმერები – ხალხი, რომლებიც უფრო გვიანდელი პერიოდის წერილობით დოკუმენტებში საკუთარ თავს, როგორც ვიცით „შავთავიანებს“ უწოდებენ. შარლტოა მ. ოტენი ქ. ერიდუს ე.წ. ელ-ობეიდას სამარხების გამოკვლევის წინასწარ ანალიზზე დაყრდნობით, აღიარებს შუმერებამდელებსა და შუმერების ნაშთებს კავკასიურ ხალხებად. ამას ეთანხმება ვიქტორ კრისტიანი და იან ბრაუნი.

მართლაც თავდაპირველად შუმერები იყვნენ მთიელები. ეპიკურ პოემაში ენმარკარის შესახებ ამ დასკვნის სასარგებლოდ რიგ არგუმენტებს ვპოულობთ.

აქ უპირველესად უნდა აღვნიშნოთ უტყარი კულტურული კავშირის არსებობა მესოპოტამიის შუმერული ცივილიზაციისა და არატის სამეფოს ცივილიზაციებს შორის, რომლებიც საკმაოდ მსგავსია, რომ არ ვთქვათ – იდენტური, არა მარტო პოლიტიკური სტრუქტურის მიხედვით, რომელიც თავისთავად რეგლამენტირებას უკეთებდა ყოფა-ცხოვრების ყველა მხარეს, არამედ ამ ორი რეგიონის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსაც.

არატის ორი ღვთაება – ინანა და დუმუზა, ამავდროულად შუმერის ღვთაებებსაც წარმოადგენდნენ. შუმერული ინანა გვიანდელი ბაბილონელებისათვის ცნობილი იყო როგორც იშთარი, სირიელები მას ასტარტას, ხოლო სპარსელები კი ანახიტას უწოდებდნენ. ისრაელელებთან ის აშთაროთად იქცა, ხოლო კოლხ ლაზ-მარგლებთან კი ოდითგანვე მოიხსენიებოდა როგორც – ნანად. რაც შეეხება ეგვიპტელებს, ისინი მას ისიდას უწოდებდნენ; ბიბლიაში კი იგი გახდა ესფირი.

მესოპოტამიის გლიპტიკის საუკეთესო ნიმუშების შესწავლა მიგვითითებს ღმერთებსა და მთებს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირზე. ზოგიერთი ღვთაება პირდაპირ გამოსახულია მთის მწვერვალზე დაბრძანებული სახით. შუმერული ღვთაებების სალოცავები აუცილებლად აღიმართებოდა უშველებელი პლატფორმების მწვერვალებზე, ქალაქების წმინდა ადგილებში. დროთა განმავლობაში ეს პლატფორმები გადაიქცნენ გრანდიოზულ საფეხურებიან პირამიდისმაგვარ ნაგებობებად – ერთგვარ ხელით ანაგებ მთებად, რომლებიც აშენებული იყო დაბლობებში, ვაკე ადგილებში; იქ, სადაც უბრალოდ არ არსებობდა ბუნებრივი მთები ან თუნდაც ბორცვები, რომლებზეც შეეძლოთ ეარსებათ ღმერთებს. სწორედ ეს არის მესოპოტამიის სახელგანთქმული ზიქურათების (ტაძრები) ძირითადი ფუნქცია.

ამგვარად, ინანას მსგავსად, შუმერული პანთეონის მრავალი ღვთაება თავდაპირველად აღმოსავლეთის მთიანი რეგიონების ღვთაება იყო. მაშინ საკმაოდ ლოგიკურია, რომ ვივარაუდოთ შემდეგი – თუკი ღმერთები მთიდან დაბლობში ჩამოვიდნენ, მაშინ ცხადი ხდება, რომ ადამიანების მიგრირებაც მოხდა ამავე მიმართულებით. მათ კი თან მოიტანეს თავიანთი ადრინდელი რწმენა-წარმოდგენები და საკულტო რიტუალები.

როგორც ვთქვით, მეცნიერებმა დიდი ხნის წინ დაადგინეს, რომ შუმერული კულტურა ხასიათდებოდა შერეული ეთნიკური შემადგენლობით, რომ მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ტომები, რომლებიც საუბრობდნენ უძველეს სემიტურ ენებზე (დიალექტებზე) და სხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თავად შუმერულ ენაზე საუბრობდა. თუმცა არსებობდა მესამე, უფრო ადრინდელი ჯგუფი, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ამ რეგიონის უძველესი ტოპონიმების მიხედვით. ეს გეოგრაფიული სახელწოდებები თავისი წარმოშობით არ არიას სემიტური და ამავე დროს არც შუმერული.

ქ. ურში, ელ-ობეიდში და შემდგომ ქ. ერიდუში ჩატარებულმა გათხრებმა გვიჩვენეს, რომ შუმერები ქმნიდნენ თავიანთ კულტურას არსებულის ბაზაზე დაყრდნობით. სწორედ შუმერებამდელმა მოსახლეობამ შეძლო პირველყოფილი მდგომარეობიდან ადრეკლასობრივ ცივილიზაციაზე გადასვლა. ეს მათ შეცვალეს ქვის შრომის იარაღები ლითონით და ამზადებდნენ ფუფუნების საგნებს.

“ეს იმათ კულტურამ გადაიტანა წარღვნა, – წერდა ლ. ვული. – სხვა ფასეულობებთან ერთად მათ გადასცეს შუმერებს ლეგენდა მსოფლიოში წარღვნის შესახებ”. დღეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ შუმერები, არ იყო შუმერული შუმერთა ქალაქების სახელწოდებებიც: ერიდუ, ური, ლარაქი, ლარსა, ურუქი, ნიპური, კიტი და სხვ. ვინ იყო ის წარღვნამდელი ანუ შუმერებამდელი მოაზროვნეები და წმინდა მამები, რომლებმაც სამყაროს წარმოშობასა და ბუნებაზე, მის მოდუს ოპერანდი-ს შესახებ მსჯელობისას, მაღალინტელექტუალურ დონეზე შეიმუშავეს კოსმოლოგია და თეოლოგია, რომელიც იმდენად დამაჯერებელია, რომ ახლო აღმოსავლეთის უდიდესი ნაწილისთვის საბაზო კრედოდ და დოგმად იქცა, თუმცა დღესაც კი აქტუალურია კაცობრიობის უმეტესობისათვის.

წაკითხულ ტექსტებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ძველი შუმერები ანუ დღეს შეგვიძლია ვთქვათ შუმერებამდელი ცივილიზაცია ფლობდა ფართო ინფორმაციას სამყაროს, ვარსკვლევებისა და პლანეტების შესახებ, ასევე დიდი ცოდნა ჰქონდათ ასტრონომიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, მეტალურგიაში, სოფლის მეურნეობაში... მათ ჯერ კიდევ ექვსი ათასი წლის წინ იცოდნენ, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. ზუსტად შუმერებამდელმა ასტრონომებმა დაყვეს ცა ზოდიაქოს თორმეტ ნიშნად. მათთვის ცნობილი იყო მზის სისტემის ყველა პლანეტა და მათი შექმნის ისტორია. მაგალითისათვის, – ურანი იყო ოფიციალურად აღმოჩენილი 1781 წ., ხოლო პლუტონი – მხოლოდ 1930 წლისათვის.

უძველესი მესოპოტამია – ახლო აღმოსავლეთური, ანტიკური და ევროპული კულტურების საწყისია.

შუმერები აწარმოებდნენ ისტორიული ქრონიკების ჩაწერას და იწერდნენ ღმერთების და ადამიანების ისტორიებს, საიდანაც ყველა სხვა ხალხები, მათ შორის ებრაელებიც, იძენდნენ ცოდნას სამყაროს შექმნის, ადამისა და ევას, კაენისა და აბელის, წარღვნის, ბაბილონის კოდოლის და ასევე ღმერთების ომებისა და სასიჟვარულო ისტორიების შესახებ; შემდგომში ისინი ხომ იყვნენ ასახული წერილობით წყაროებსა და გახსენებებში, ბერძნულ, ხეთურ, არამეულ, ქანაანურ, სპარსულ და ინდოევროპულ ენებზე. როგორც გვიდასტურებენ, ამ ყველა ძველ წერილობით ძეგლებს, პირველწყაროებად ემსახურებოდნენ კიდევ უფრო არქაული (უძველესი) ტექსტები.

არსებობს ერთი თვისება, ასე დამახასიათებელი მთლიანად უძველესი ახლო აღმოსავლეთისათვის, რამაც გამოარკვია ხალხის დამოკიდებულება საკუთარ არსებობასთან. ეს არის რელიგიის უზენაესობა ადამიანური ცხოვრების ყველა სხვა დანარჩენ მხარეებზე, რომელთათვისაც რელიგია ქცეულია შთაგონების წყაროდ. ასეთი დამოკიდებულება შეესაბამება ისტორიის გარკვეულ ფილოსოფიას, რომელიც გვაძლევს სამყაროს, როგორც ერთიანი თეოცენტრული სისტემის ახსნას.

ძველ შუმერსა და აქადში რელიგიის ოფიციალური წარმომადგენლები იყვნენ ქურუმები, რომლებიც შეადგენდნენ საკმაოდ გავლენიან ფენას. ეს ფენა სახელმწიფოში თამაშობდა პირველხარისხოვან როლს და ხელთ ეპყრამოსახლეობის განათლების ყველა წყარო. მათი რიგები ივსებოდა მხოლოდ განსაზღვრული გვარებიდან, უპირატესად იმათგან, რომელთა წარმოშობაც უკავშირდებოდა ქალღმერთს.

ქალღმერთი ქურუმები, რომლებიც წარმოთქვამდნენ შელოცვებს, იყოფოდნენ სამ ჯგუფად – თავად შელოცვის მთქმელები, ექიმები და ჯადოქარი – ქურუმები.

ამათ გარდა კიდევ ორი ჯგუფი არსებობდა – ვარსკვლავთმრიცხველი – ასტროლოგები და წინასწარმეტყველნი.

ქალღმეველი ქურუმ-მოგვები დიდი ცოდნის მატარებლები იყვნენ. დღეს ქალღმეველი ქურუმ-მოგვის თანამდებობა ექვივალენტურია ევროპის უნივერსიტეტის პროფესორისა და ისიც ყველასი არა, მხოლოდ იმ პროფესორისა, რომელსაც გააჩნია ენციკლოპედიური ცოდნა და მრავალრიცხოვანი ტალანტი.

საინტერესოა, რატომ იყვნენ ქალღმეველნი ასეთ პატივში 3000 წელზე მეტ ხანს მესოპოტამიაში?

დღეს მეცნიერები ეძებენ იმ ხალხს, ვინც დახვდა შუმერებს, ანუ შუმერებამდელ ცივილიზაციას, ვინც მათ გადასცა ყოველივეს ცოდნა.

საკვირველია, რატომ ეძებენ შუმერებამდელ ცივილიზაციას, როცა ეს ყველაფერი ცნობილია, ვიცით, რომ შუმერები ჩნდებიან მესოპოტამიაში ე.წ. ელ-ობეიდის კულტურის აყვავების დროს, ანუ IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, ხოლო ე.წ. ელ-ობეიდის კულტურის დასახლება იქ იყო წარღვნამდე, ანუ რამდენიმე ათასწლეულით ადრე, აგრეთვე ვიცით, რომ შუმერებამდე არსებობდა ქვეყნიერების პირველი ქალაქი ერიდუ (ერი“ – ხალხი, „დუ“ – იყო, ანუ იყო ასეთი ხალხი), რომელიც დაიპყრეს შუმერებმა. იბადება კითხვა, ვინ იყვნენ ქ. ერიდეს მოსახლეობა შუმერებამდე?

აპოლოდორის, აბიდენის და პოლიგასტორის მიერ ბეროსის „ბაბილონის ისტორიის“ ნაწყვეტებიდან ვიცით, რომ წარღვნამდე ქ. ერიდუში 10 მეფე იყო, აქედან რამოდენიმე ქალღმეველი. პირველი იყო ალორ-ალულიმ ქალღმეველი, რომელიც ამბობდა, რომ თავად ღმერთმა მოინდომა მისი გადაქცევა ერის მწყემსად, მეორეც იყო ქალღმეველი ამენონი, მერვის შემდეგ აგრეთვე ქალღმეველი ამემსინი, შემდეგ ოთი-არტი ასევე ქალღმეველი, შემდეგ მისი ვაჟი ქსისურტი-სისიტრი – სწორედ ამ დროს მოხდა წარღვნა!

აქედან გამომდინარე ე.ი. არსებობდნენ ე.წ. ელ-ობეიდას ცივილიზაციის შემქმნელთა შორის ქალღმეველნი, რომელთა დროს მოხდა წარღვნა და რომლებმაც ამის შესახებ გადასცეს კაცობრიობას და პირველ რიგში შუმერთა ცივილიზაციას.

ქალღმეველთა ცოდნის გამო მესოპოტამია იქცა კულტურულ ცენტრად, საიდანაც გავრცელდა კოსმოლოგიური, მითოლოგიური და სამეცნიერო იდეები, რომლებიც დღესაც განიხილებიან, ანუ ქალღმეველნი მოსულ მტერს ძალით ვერ ამარცხებენ, ხოლო მაღალი ინტელექტის მეშვეობით იმორჩილებენ, პრივილეგირებულს ხდიან თავის ყოფას მტრის ხელში, პრინციპში შეგვიძლია ვთქვათ, მართავენ სხვა ქვეყნებს რამოდენიმე ათასწლეულის მანძილზე, ხოლო მტრის პირველივე სისუსტის დროს იგდებენ ხელში ყველაფერს. აი, ეს იყო ქალღმეველთა იდუმალი მართვა.

იოსებ ძაცარავა

ამის ცოდნა აუცილებელია

რა შემთხვევაში არ დაჯარიმდება ნასვამი მძღოლი

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ჯარიმების შემცირება უახლოეს მომავალში მოხდება. პარლამენტმა შსს-ს კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე განიხილა. რაც შეეხება კიდევ ერთ კანონპროექტს, რომელიც ფრაქცია **“ქართული ოცნება – ეროვნულმა ფორუმმა”** მოამზადა და სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევაში დაწესებული საურავების განახევრებაა, მისი განხილვა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდება.

“ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში” შესატანი ცვლილებების 2 პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. ერთ-ერთის ავტორი შინაგან საქმეთა სამინისტროა, მეორე პროექტი კი ფრაქციამ **“ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი”** მოამზადა (ავტორი დეპუტატი თემურ მაისურაძე).

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონპროექტში, როგორც მინისტრის მოადგილე ლევან იზორია აცხადებს, აღარ იქნება ტერმინი – **“მართვის უფლების ჩამორთმევა”** და იქნება **“მართვის უფლების შეჩერება”.** ამასთან, მძღოლს მართვის მოწმობის ხელახლა მოსაპოვებლად ტესტირების თავიდან ჩაბარება აღარ მოუწევს და სანქციის ვადის გასვლისთანავე მართვის უფლებას ავტომატურად მიიღებს. გარდა ამისა, მართვის უფლების შეჩერებისთვის გათვალისწინებული ვადები განახევრდება.

მართვის უფლების შეჩერების სანქციას, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვის შემთხვევაში, ჯარიმის ნაცვლად გამოიყენებენ. ამჟამად თუკი მძღოლი ავტომანქანას ნასვამი მართავს, ის 200 ლარით ჯარიმდება. ცვლილების მიღების შემთხვევაში კი ნასვამ მძღოლს მართვის უფლებას 6 თვით შეუჩერებენ.

ერთი წლის განმავლობაში განმეორებითი შემთხვევისას სანქციები მკაცრდება: ნასვამი მძღოლი 700 ლარით დაჯარიმდება და მას მართვის უფლების ჩამორთმევის ვადა ერთი წლით გაუგრძელდება. მესამე შემთხვევის გამოვლენისას ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო მართვის უფლების შეჩერების ვადა 2 წელი იქნება.

ნასვამ მძღოლს სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეეხება, თუ მას გადაჰყავს პირი, რომელსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება.

საგზაო წესებს ეხება კანონპროექტით გათვალისწინებული კიდევ ერთი საკითხი. დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის დაწესებული ჯარიმა 100-დან 50 ლარამდე მცირდება. ერთი წლის განმავლობაში გამოვლენილი განმეორებითი შემთხვევისთვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა, რომელიც 200 ლარს შეადგენს, ასევე განახევრდება.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, როგორც მისი ინიციატორი აცხადებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ჯარიმების გადაუხდელობის გამო დაკისრებული საურავების განახევრებაზე. დეპუტატ თემურ მაისურაძის თქმით, აღნიშნული ინიციატივის თანახმად, მცირდება როგორც საგზაო წესების დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობა, ასევე ამ ჯარიმის დროულად გადაუხდელობის გამო გათვალისწინებული სანქციები. მისი გადახდის ვადა კი ერთიდან სამ თვემდე იზრდება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მძღოლი 40 ლარის ნაცვლად, 20 ლარით დაჯარიმდება; მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას დადგენილი წესების დარღვევა 20-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 10 ლარით განისაზღვრება. წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება 50 ლარის ნაცვლად, 20 ლარიან სანქციას ითვალისწინებს.

საჯარიმო სანქციები მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებისა და შუქნიშნის ამკრძალავ ნიშნებზე გავლის წესის დარღვევის შემთხვევებზეც მცირდება. სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მძღოლის 100 ლარის ოდენობით დაჯარიმების ნაცვლად, მის 75 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ისეთ შემთხვევებში, როცა სიჩქარის გადაჭარბებას შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება მოჰყვება, მძღოლი 250 ლარის ნაცვლად, 150 ლარით დჯარიმდება.

მცირდება გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სანქცია და ასეთი ქმედება 20 ლარით დაჯარიმდება, ნაცვლად 50 ლარისა. მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისთვის დაბრკოლების შექმნა მძღოლის 50 ლარის ნაცვლად, 30 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს.

გარდა ამისა, ნახევრდება ჯარიმა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთაზეც და ამ დარღვევისთვის მძღოლი 100 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება. ასევე ნახევრდება ჯარიმა წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევებში და მისი ოდენობა 200 ლარიდან 100 ლარამდე მცირდება.

ამ დროისთვის პარლამენტმა შსს-ს მიერ ინიცირებული კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე განიხილა. როგორც თემურ მაისურაძე აცხადებს, ახლა მიმდინარეობს დამატებითი განხილვა და უახლოეს მომავალში პროექტი მოსმენაზე კიდევ ერთხელ გავა.

“რაც შეეხება ჩვენს პროექტს, რომელიც საგზაო ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევაში დაკისრებული საურავების განახევრებას და აღსრულების ვადის გახანგრძლივებას ითვალისწინებს, ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნამდვილად ვერ მოესწრება”, – დასძინა მაისურაძემ.

ე. წიკლაური

ისმინეთ ჩვენი განგაშის ზარი!

როდემდე არ შეწყვეტენ მეგრელების, სვანებისა და ლაზების დისკრიმინაციას შოვინისტური და ფაშისტური ძალები საქართველოში?

რა ხანია, საქართველოში, იყვნენ და არიან შოვინისტური და ფაშისტური ძალები, ადამიანთა გარკვეული ჯგუფების სახით, რომლებიც ეწოდნენ და ეწევიან კოლხების, ამ შემთხვევაში მეგრელების, ლაზებისა და სვანების დისკრედიტაციას, მიწის პირისაგან გადაშენების ცდას! როდემდე შეიძლება ამის ასე გაგრძელება?

თვალსაჩინოებისათვის, საკითხს დავყოფთ ქვესათაურებად და შევეხებით ძალიან მოკლედ.

1. ახალი ხელისუფლებისა გვეიმედება

ბიძინა ივანიშვილმა, „ქართულმა ოცნებამ“, ახალმა მთავრობამ უთუოდ სულზე მოუსწრეს ქართველ ხალხს, ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

რომ არა ასე, ამ წერილის დაწერას არვითარი აზრი არ ექნებოდა.

2. მეგრელთა, ლაზთა და სვანთა დისკრიმინაცია შორეული წარსულიდან მომდინარეობს

დიახ, ეს პროცესი მომდინარეობს იმ პერიოდიდან, როდესაც ისტორიული კოლხეთის ძლევამოსილებას ზღვარი დაედო. კოლხეთის სახელმწიფო კი მძლავრობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით.

ჰეროდოტეს (V ს. ძვ. წ.) გადმოცემით „კოლხეთს, აიას, აიონს ოდესღაც მთელი მსოფლიო ეპყრა“.

ეს დასტურდება ჩვენს ხელთ არსებული 500-მდე მსოფლიოს უძველესი, ძველი და ახალი დროის სწავლულების, მეცნიერების, პროფესორების, აკადემიკოსების (მათ შორის ჩვენი) მონაცემებით, არქეოლოგიური, ტოპონიმიკური, ჰიდრონიმიკური, ანთროპოლოგიური, ენობრივი და სხვა მასალებით. მათ, აქ, გასაგები მიზეზით, ვერ მოვუხმობთ. უძველეს ვითარებას რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ II საუკუნეში ძვ. წ., კოლხეთს განეკუთვნებოდა დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს, მათ შორის შიდა ქართლის დიდი ნაწილი, და რასაკვირველია, ამჟამინდელი იმერეთისა და გურიის მთელი ტერიტორია (ივ. ჯავახიშვილი. ნ. ბერძენიშვილი, დ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი...).

ამათივე მონაცემებით, შემდგომში „კოლხეთის შიგ შუაგულში შემოიჭრა ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი და ამიერიდან ერთმანეთისაგან გააცალკევა მუდამ ერთად მცხოვრები ძმები“, რასაც არა მხოლოდ გურიისა და იმერეთის ტერიტორიების მოსახლე მეგრელების გაქართველება, არამედ ლაზებისა და ლაზეთის თურქეთის სახელმწიფოს მფლობელობაში მოქცევა და გათურქება-გამუსლიმანება მოჰყვა. სამეგრელო და დანარჩენი საქართველო კი, იგივე ვითარებაში მოქცევას რუსეთისა და რუსების დახმარებით გადაურჩა, რისი დავიწყება და დაუფასებლობა, პირდაპირ თუ ვიტყვით, ღორობა იქნებოდა.

აგერ გუშინ, მეგრულენოვანი მოსახლეობა საქართველოს 8 რაიონში თუ ცხოვრობდა, დღეს 7 რაიონშიღა დარჩა.

აი, როგორ დაიმცრო მეგრულენოვანი ხალხის საცხოვრისი ტერიტორია მითთა ჟამიდან დღემდე.

3. მეგრელთა დისკრიმინაციის მოვლენები ახლო წარსულში

მეგრელი ხალხის აშკარა დისკრიმინაციის მოვლენა იყო 1953 წელს ქართველი ნ. რუხაძისა და ა. მგელაძის მიერ შეთითხნილი ე. წ. „მეგრელთა საქმე“, რასაც მაშინ ლამის მთელი მეგრულენოვანი მოსახლეობის გაციმბირება მოჰყვა, არარსებული „მეგრული სეპარატიზმის“ ბრალდებით.

უმტკივნეულო, არც შემდგომში აგორებული ე. წ. „მაფალუისტების“, „ჩხოუშიაელებისა“ და სხვათა „საქმე“ იყო, თუმცა ეს „საქმეები“ მხოლოდ მეგრელთა მიერ მეგრული ენის დაცვისა და ამ ენაზე მეტყველებისა და წერის უფლების თხოვნას მოჰყვა.

უსასტიკესი მოვლენა აღმოჩნდა, მეგრელთათვის, გასული საუკუნის 90-იან წლებში ე. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ აგორებული ე. წ. „პროვინციული ფაშიზმის“ წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა.

„ამ მეგრელებს მე თვითონ ჩემი ხელით დავსერავ დანით და ჭრილობაში მარილს ჩავყრი“,– განაცხადა მაშინ ე. შევარდნაძემ (მსგავსი რამ ჰიტლერსაც არ მოფიქრებია). ჯ. იოსელიანმა კი ასე დააზუსტა: „ეს მეგრელები უნდა ამოვწყვიტოთ და მათს ადგილას სხვა ხალხი უნდა დავასახლოთ“.

სამეგრელოს მოსახლეობის აღა-მაჰმადხანისებურად ხუთგზის დალაშქვრა, პირწმინდად გაძარცვა, სახლების გადაბუგვა, მრავალი ადამიანის დახოცვა მოჰყვა შედეგად, პუტჩისტების მიერ გაძევებული საქართველოს ყოფილი კანონიერი ხელისუფლებისადმი მეგრელთა გამოსარჩლებას,– კვლავ „მეგრული სეპარატიზმის“ დაბრალებით.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ე. შევარდნაძის მთავრობის მიერ აფხაზეთის დალაშქვრას, იქიდან 300000-მდე მეგრულენოვანი მოსახლეობის გამოძევებას, – მრავლის დახოცვის პირობებში, – სწორედ მეგრელთა გენოციდის მიზანი ედო მთავარ საფუძვლად.

ვინ იცის, რისთვის ახდენდნენ იარაღის გადამალვას სამეგრელოში (რაც ამ უკანასკნელად გამოვლინდა), ნაცმოელები?

4. მეგრელთა, სვანთა და ლაზთა თანამედროვე მესაფლავეები

XX საუკუნის უკანასკნელი წლებიდან მეგრელთა, სვანთა და ლაზთა მორიგ, ახლა უკვე საბოლოო, მესაფლავეებად გამოჩნდნენ ახალი ძალები, ენათმეცნიერების: ტარიელ ფუტკარაძის, თეიმურაზ გვანცელაძის, მანანა ტაბიძის, მიტროპოლიტი ანანიას (ჯაფარიძის) და კიდევ რამდენიმე „თვისტომის დამწუნებელი ღამურის“ (აკაკის მიხედვით) სახით. რაში გამოიხატება მათი „მოღვაწეობა“ ამ მხრივ?

5. მეგრული, ლაზური და სვანური ენების დიალექტებად გამოცხადება უწყინარი აქტი როდია

1999 წლის აპრილში საქართველო მიღებულ იქნა რა ევროსაბჭოს შემადგენლობაში, ქვეყნის ხელისუფლებამ იკისრა ვალდებულება, ერთი წლის ვადაში მოეხდინა რატიფიკაცია ევროსაბჭოს კონვენციებისა, ეროვნულ უმცირესობათა ენებისა და მცირერიცხოვანი რეგიონალური ხალხების ენების დაცვის შესახებ.

მეგრელთმოძულე ენათმეცნიერ ტ. ფუტკარაძესა და მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძეს), ჩანს, მაშინათვე „გაეხსნათ გონება“, და, როგორც იტყვიან ხოლმე, „მოტვინეს“ კიდეც, თუ როგორ შეესრულებინათ თავიანთი განაზრახი მეგრელთა გენოციდის შესახებ. დაასკვნეს, რომ ამის მიღწევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მეგრული, სვანური და ლაზური ენების (ამ უკანასკნელებს მეგრულს სწირავენ ზვარაკად) გამოცხადება დიალექტებად ანუ კილოებად. მათ კარგად იცოდნენ და იციან, რომ ეს ენები გადაშენების გზაზეა დამდგარი და მათი გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ევროსაბჭოს კონვენციების მიხედვით მათი დაცვის პირობებში, ევროსაბჭოს კონვენციები კი მოითხოვენ ენების, და არა დიალექტების, დაცვას (თუმცა, მაგალითად, სომხეთის ხელისუფლებამ სომხური ენის დიალექტების დაცვაც დააკანონა). მათ კარგად იციან ისიც, რომ ნებისმიერი ენის გადაშენება, ამავე დროს, ნიშნავს ამ ენის მატარებელი ხალხის გადაშენებას, მიწის პირისაგან გაქრობას.

მეტიც კიდევ: მათ კარგად იციან, ენათმეცნიერების მიერ ერთხმად აღიარებული ჭეშმარიტება, რომ „დიდი ენა ანუ დედა ენა დიდ მდინარესა ჰგავს: როგორც დიდი მდინარე იკვებება და იზრდება შენაკადებით, და დაშრებიან რა ესენი, შრება დიდი მდინარეც, ასევე, დიდი ენა ანუ დედაენა იკვებება და ვითარდება მონათესავე ენებითა და მათი დიალექტებით, და, გაქრებიან რა ესენი, წყდება განვითარება დედა ენისა და ქრება ისიც“.

მიუხედავად ამისა, მეგრელთმოძულეობა და ფსევდოპატრიოტიზმის მოძალება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა მათში, რომ ისინი აშკარად დაადგნენ მეგრული, სვანური და ლაზური ენების დისკრედიტაციისა და ამ ენების მატარებელი ხალხების დისკრიმინაციის გზას. სხვა რაღა უნდა ექნათ, პირადი განდიდების მანიით შეპყრობილებს, როცა, ჩანს, მიზნის მისაღწევად საკუთარი სპეციალობის ცოდნის დონე არ ჰყოფნიდათ. არადა, ენის კრიტერიუმების (ბგერათშესატყვისობა, ლექსიკების სხვადასხვაობა და სხვა) შესახებ ენათმეცნიერულ ცოდნაზე რომ არაფერი ვთქვათ (ან რა სათქმელია), ნუთუ მათთვის უცნობია, ისეთი ელემენტარული ჭეშმარიტებაც კი, რაც კარგად იციან მეხუთე კლასის სასწავლო პროგრამის საშუალო დონეზე მცოდნე მოსწავლეებმაც: **მეგრული, ლაზური და სვანური ენები რომ ქართული ენის ისეთივე დიალექტები იყვნენ, როგორიც ქართლური, კახური, იმერული, გურული, ფშავური და სხვანი (სულ 16 ერთ.) არიან, შეუძლებელი იქნებოდა ამ ენების ურთიერთ და ქართულ ენაზე თარგმნა და, მეგრულ-ქართული, მეგრულ-სვანური, მეგრულ-ლაზური, სვანურ-ქართული და მისთანა ლექსიკონების შედგენა; ასევე შეუძლებელი იქნებოდა ლექსების დაწერა და სიმღერების მოსმენა მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებზე, ისევე, როგორც ეს შეუძლებელია კახურ, გურულ ფშავურ დიალექტებზე და ა. შ.: მეგრელ, სვან და ლაზ ბავშვებს არ დასჭირდებოდათ ქართული ენის შესწავლა, ისევე როგორც არ სჭირდებათ იგი ქართლელ, კახელ, იმერელ ბავშვებს ა. შ.; და ბოლოს, შეიძლება კი, მილიონობით სიტყვების მქონე ენა გამოცხადდეს 113 ათასი, გნებავთ, 200 ათასი სიტყვის მომცველი ენის დიალექტად? ამასაც რომ თავი დავანებოთ, ნუთუ მათ არასოდეს შეუმჩნევიათ ის ფაქტი, რომ ენებში, ჩვეულებრივ, ენაც და სამეტყველო ორგანო ენაც ერთი და იგივე სახელით აღინიშნებიან? მაგალითად: ენა და ქართული ენა, ნინა დო მარგალური ნინა, იაზიკ ი რუსსკიი იაზიკ და ა. შ. აბა, როდის სმენიათ, მათ, გამოთქმები: კახური ენა, გურული ენა და სხვა და როდის არ სმენიათ ცნებები: მეგრული ენა, სვანური ენა, ლაზური ენა?**

საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ ამაზე, მეგრულისა და სხვა ქართველური ენების დიალექტად გამომცხადებელი, ყოველგვარი სამეცნიერო ტიტულების მფლობელი (ბეჭდიანი ქაღალდების მიხედვით) პატივცემული „ენათმეცნიერები“?

მოიძიეს რა თანამზრახველები, ამბიციურ და ამპარტავან კვაზიმეცნიერთა რიგებიდან, მათ შორის, თვისტომის „დამწუნებელი ღამურების“ (აკაკის მიხ.) სახით, ტ. ფუტკარაძემ, ა. ჯაფარიძემ და მისმა ამფსონებმა თავი ქუდში იგრძნეს,– მეგრული, ლაზური და სვანური ენები დიალექტებად გამოაცხადეს, სხვებისგანაც, მათ შორის უცხოელი სპეციალისტებისაგან, მოითხოვეს მათი „თეორიის“ აღიარება. მოკლედ რომ ვთქვათ, მათ უკიდურესი აგრესიულობით მიმართეს ყოველგვარ ხერხს მეგრული, სვანური და ლაზური ენების დისკრედიტაციისათვის. საამისოდ, არ დაერიდნენ უზომოდ აღვირახსნილ ცილისწამებასაც არა მხოლოდ მეგრელთა მიმართ (სეპარატიზმისა და მისთანათა დაბრალებით), არამედ ყველა იმათ მიმართ, ვინც არ გაიზიარეს მათი ახალი „თეორია“. ამ მხრივ მათი „ნაღვაწის“ აღწერას ერთი დიდი წიგნიც არ ეყოფა.

აი, რა გზით იბრძვიან დღემდე, კისრისტეხით, ტ. ფუტკარაძე ა. ჯაფარიძე და მათი ამფსონები მეგრული, ლაზური და სვანური ენებისა და მათი მატარებელი ხალხების წინააღმდეგ.

ამრიგად, **მეგრული, სვანური და ლაზური ენების დიალექტებად გამოცხადება და სახელმწიფო კანონის ძალით მისი დამტკიცება, რასაც ასე ესწრაფვიან ისინი, სულაც არ არის უწყინარი აქტი. იგი მეგრელთა, სვანთა და ლაზთა სრული გენოციდის მომასწავებელია.**

აი, როგორ და რა ხერხით მოევლინნენ მესაფლავეებად მეგრელებს, სვანებსა და ლაზებს, საბოლოო ანგარიშით კი, სრულიად ქართველობას, ენათმეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) და მათი ამფსონები, – როგორც მეგრელთა, სვანთა და ლაზთა დაუძინებელი მტრები.

მამანტი ძაძამია,
აკადემიკოსი
(გაგრძელება იქნება)

ილია მეორე: ერი, რომელშიც უფროსი და უმცროსი თაობის მთლიანობა დარღვეულია, სუსტია

ერი, რომელშიც უფროსი და უმცროსი თაობის მთლიანობა დარღვეულია, სუსტია, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღევანდელი საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულების პრობლემა დღეს მთელ მსოფლიოს აწუხებს.

“უფროსი და უმცროსი თაობა ერთი მთლიანობა უნდა იყოს და ერი, რომელშიც ეს მთლიანობა დარღვეულია, სუსტია. ძალიან ხშირად ჩვენ გვავიწყდება უფროსი თაობა, ჩვენი წინაპრები. ამიტომ, მაქვს სურვილი, გამოვყოთ დღეები, როდესაც გავიხსენებთ ჩვენს წინაპრებს, გამოჩენილ ადამიანებს. მინდა, პირველი ასეთი შეხვედრა მოვაწყოთ წმინდა მეფე დავით აღმაშენებელთან”, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, დავით აღმაშენებლის ცხოვრება საოცრებაა, რადგან ეს არის მთლიანად მინდობა უფლისადმი.

“დიდგორის ბრძოლაში მეფე დავით აღმაშენებელმა ჩახერგა უკან დასახევი გზები და მზად იყო, საკუთარ ჯართან ერთად დაცემულიყო, თუმცა ამავდროულად, ყველაფერს აკეთებდა გამარჯვებისთვის. შევთხოვ უფალს, გახსნას ჩვენი გონება, გაწმინდოს ჩვენი გული, რათა იგი იყოს ტაძარი სულისა წმინდისა. არსებობენ პიროვნებები, რომლებშიც ვითარდება კეთილი თვისებები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც ბოროტების გარეშე არ შეუძლიათ; მუდმივად ცდილობენ, დათესონ ღვარძლი, მაგრამ ღვარძლი დაიწვება და ხორბალი დარჩება”, – ბრძანა პატრიარქმა, რომელმაც მოწყალებაზე ისაუბრა.

როგორც ილია მეორემ ბრძანა, ეს არის ის გზა, რომელიც ადამიანს სასუფეველში მიიყვანს. **“ძალიან ხშირად, ჩვენ იმდენად ვართ დაკავებული საკუთარ თავსა და ინტერესებზე ზრუნვით, ვერ ვხედავთ გაჭირვებულ ადამიანებს. ამიტომაც გვეუბნება უფალი – იყავით მოწყალენი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი მოწყალე არს. ვინც წყალობს მოყვასსა თვისსა, მას წყალობს უფალი”,** – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა ადამიანის, როგორც პიროვნების როლსა და დანიშნულებაზეც ისაუბრა. როგორც ილია მეორემ აღნიშნა, ადამიანი ხშირად არ ფიქრობს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად.

“შემთხვევით არაფერი ხდება და შემთხვევითი არ არის, რომ უფალმა ამ სოფელს მოგვიყვანა. ჩვენი მიზანი, უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ის, რომ დავუახლოვდეთ უფალს, მოყვასს, ბუნებას, რათა შეიკრას პიროვნების

მთლიანობა. უფალი ყველას და ყველაფერს მხოლობით რიცხვში ქმნის. ტყუპები, შესაძლოა, გარეგნულად ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ შინაგანად სრულიად განსხვავებული იყვნენ. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ვიყოთ ღვთის შვილები, შევქმნათ ახალი იდეები”, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, რომ შექმნას ახალი იდეები. როგორც ილია მეორემ აღნიშნა, არსებობენ სხვაზე დამოკიდებული ადამიანები და ისეთებიც, რომლებიც არსებულით არ კმაყოფილდებიან და მუდმივად ფიქრობენ ახალ იდეებზე.

უწმინდესი სვეტიცხოვლობის დღესასწაულსაც შეეხო და აღნიშნა, რომ სვეტიცხოველში ლოცვა დღეს, 18:00 საათზე, ხოლო წირვა ხვალ, 10:00 საათზე დაიწყება. პატრიარქის განმარტებით, ტაძარში დაბრძანებული იქნება წმიდათაწმიდა ნაწილები, რომელიც სვეტიცხოვლობის დღესასწაულის შემდეგ ისევ გელათში დაბრუნდება.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

პირველი ქართველი მორაბბეები, რომლებმაც შოტლანდიელებს ყურები ჩამოაყრევინეს

ამ წერილში ვანო და სერგო ლაბაძეების თაობაზე მოგითხრობთ. ისინი ძმები იყვნენ და ჭიათურის მაღაროში მუშაობდნენ, სადაც საყოველთაოდ ცნობილნი იყვნენ იმით, რომ ლელობურთის თამაშში მათ ვერავინ სჯობდა.

ლელობურთს კი მეოცე საუკუნის დასაწყისში მეტი ხალისით თამაშობდნენ, ვიდრე დღეს ჭადრაკს ან დომინოს. მაღაროელებს საკუთარი გუნდი ჰყავდათ და საკმაოდ ცნობილიც.

იმ დროში მომხდარი არეულობის გამო სერგო და ვანო ლაბაძეები ოსმალეთში გაიქცნენ, ტრაპიზონში დასახლდნენ და ტრადიციულ ხელობას – მეთუნეობას მიჰყვეს ხელი. მცირე ხანში ცოტა ფულიც მოაქუჩეს და წელშიც გაიმართნენ. ამასობაში, ოსმალეთშიც აირია სიტუაცია.

1907 წლის ბოლოს, ოსმალეთში, არათურქმა ხალხებმა – ალბანელებმა, არაბებმა, ქართველებმა, მაკედონელებმა, სომხებმა და სხვებმაც, ეროვნული კომიტეტები შექმნეს და აჯანყებისთვის მზადება დაიწყეს.

აი, ამგვარ პერიოდში აღმოჩნდნენ ძმები ლაბაძეები ტრაპიზონში, სადაც მაშინ ქართველები უფრო მეტნი ცხოვრობდნენ, ვიდრე ბერძნები და ოსმალები – ერთად. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლაზეთის მკვიდრ ქართველებს სწორედ ამ ქალაქში ჰქონდათ შექმნილი თავიანთი ეროვნული კომიტეტი, რომელსაც ხოფელი ბესიმ ახისკალოღლი მეთაურობდა. მასთანვე იყო დაკავშირებული ტრაპიზონსა და ლაზეთში რუსეთიდან გადმოსული თითქმის ყველა ქართველი; მათ შორის – ძმები ლაბაძეებიც.

მალე ტრაპიზონში დაიწყო აჯანყება – ქართველთა **"ეროვნული კომიტეტის"** მართული რაზმები ქუჩებში გამოვიდნენ და ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტების აღება სცადეს. ოსმალური არმიის გარნიზონმა, რომელმაც რეაგირება დროზე მოახდინა, რაზმელები დაამარცხა, ხოლო ჟანდარმერიამ დააკავა კომიტეტის მეთაური ბესიმ ახისკალოღლი და მისი მოადგილეები. ისინი იმ საღამოსვე სატახტო ქალაქში გადაიყვანეს. სტამბოლში დაპატიმრებულთა დასახმარებლად გაემგზავრნენ სერგო და ვანო ლაბაძეები, მათი ნათესავი ლევარსი სამხარაძე და ლაზები: ენვერ-ფაშა ქავთაროღლი, ნიაზ ბანოღლი, ნური კაკალოღლი და ხუსეინ გოჭოღლი.

მათ გადაწყვიტეს, კარგი ადვოკატი დაექირავებინათ და ბესიმ ახისკალოღლი გაეთავისუფლებინათ. მონახეს იტალიელი ადვოკატი, თუმცა მის მიერ მოთხოვნილი ფასი ეძვირათ. სწორედ იმ დროს, როდესაც შვიდი ქართველი მსჯელობდა, ფული როგორ ეშოვათ, ქალაქში შოტლანდიური შვიდკაცა რაგბის გუნდი იყო ჩამოსული და საჩვენებელ მატჩებს მართავდა.

შოტლანდიური შვიდკაცა რაგბი კი, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო თამაში გახლდათ: მთელ ევროპაში იმხანად დიდად მოდაში იყო შვიდკაცა რაგბის ფულზე თამაში. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ქალაქ ედინბურგის შვიდკაცა გუნდი **"სენტ გილბერტ სევენი"**, რომელსაც დაუმარცხებლის სახელი ჰქონდა. სწორედ ეს გუნდი იყო ჩამოსული იმ პერიოდში სტამბოლშიც.

შვიდკაცა რაგბის გუნდის ამბავი ქართველებთან ხუსეინ გოჭოღლიმ მიიტანა. იგი თავადაც კარგი ლელო-მობურთალი იყო. ამიტომ, ბევრი არც უფიქრია, ამხანაგებს პირდაპირ უთხრა: **"ჩვენ მაგ თამაშს ვერავინ გვასწავლის და, თან ეს უცხოელები მოგებულ მოწინააღმდეგეს ფულს უხდიან... ბედი ხომ არ გვეცადა?"** – სერგო ლაბაძე მაშინვე დაეთანხმა მას, ვანომ კი იკითხა: **"კი მარა, რომ წავაგოთ, მაშინ რაღა ვქნათ?"** ამაზე ხუსეინ გოჭოღლის გაეცინა: **"რატომ უნდა წავაგოთ? სირცხვილი არ იქნება, ვიღაც ჩამოსულებმა რომ ლელობურთში მოგვიგონ?"** – ამან შვიდეულის ღირსებაზე დიდად იმოქმედა და ყველანი სტადიონისაკენ გაემართნენ.

"სენ გილბერტ სევენს", მწვრთნელთან ერთად, ედინბურგელი ჟურნალისტი ჯონ მაკფერსონიც ახლდა. ის მხატვარიც იყო და თავის სტატიებს თავადვე ასურათებდა ხოლმე.

"სტამბოლში ჩვენმა გუნდმა სულ ოთხი მატჩი გამართა. აქედან ყველაზე შთამბეჭდავი იყო მეოთხე – მაშინ ოსმალეთის იმპერიის კავკასიელი ქვეშევრდომები დაგვიპირისპირდნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც "სენტ გილბერტ სევენს" მოწინააღმდეგისთვის ერთი ლელოც კი არ გაუტანია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენებთან შედარებით, არ იყვნენ პროფესიონალი მოთამაშეები... შვიდივე ალვისტანა იყო და, ძალიან მსუბუქად მოძრაობდა. ჩვენებს არც მუშტი-კრივში უდებდნენ ტოლს და არც ბურთის ფლობაში. ოცდარვაჯერ გაგვიტანეს ლელო და ყურებიც ბაზარში გაყიდული ვირებივით ჩამოგვაყრევინეს... მერედა შევიტყვე, რომ თურმე რაგბი მათი ეროვნული თამაში ყოფილა, თანაც მათთან გაცილებით უფრო ადრე იყო ცნობილი, ვიდრე ჩვენთან – ბრიტანეთში", – წერდა მაკფერსონი.

იგი ამ შემთხვევის მერე საქართველოთიც დაინტერესდა. ინტერესი კი ისეთი სერიოზული აღმოჩნდა, რომ გუნდს უკან აღარც გაჰყოლია – თავისი გაზეთის რედაქციაში დეპეშა გაგზავნა: ***ოსმალეთში ვრჩები და თანაც სტამბოლიდან ტრაპიზონისკენ მივემგზავრები, მასალების მოსაძიებლადო*** და ასეც მოიქცა – თან გამოჰყვა ქართველთა შვიდკაცა გუნდს და მათ განთავისუფლებულ ამხანაგს: იტალიელმა ადვოკატმა ოქროს ლირები რომ დაინახა, შეუძლებელი შეძლო და ბესიმ ახისკალოღლი სასამართლოს დარბაზიდანვე გაათავისუფლებინა.

ვანო ლაბაძე და ლევარსი სამხარაძე 1918 წელს დაბრუნდნენ საქართველოში. ვანო სასაზღვრო ჯარების სარდალი გახდა, ლევარსი კი ბათუმის ტელეგრაფში მუშაობდა.

სერგო ლაბაძე ლაზეთის სოფელ არქაბში დაოჯახდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა. მისი შთამომავლები დღესაც იქ სახლობენ, ოღონდ უკვე თურქულ გვარს ატარებენ. ეს ამბავი სწორედ მათ მიამბეს და ფოტომასალაც დიდსულოვნად მომაწოდეს.

მ. ლაბაძე

ფოტოზე: მარცხნიდან – ვანო ლაბაძე, სერგო ლაბაძე, ენვერ-ფაშა ქავთაროღლი, ლევარსი სამხარაძე, ნიაზ ბანოღლი; ძვემოთ: ნური კაკალოღლი და ხუსეინ გოჭოღლი

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



როგორ სჯიან ჰომოსექსუალებს ისლამურ სახელმწიფოებში

არაბულმა სახელმწიფოებმა – ბაჰრეინმა, ქუვეითმა, ყატარმა, ომანმა და საუდის არაბეთმა ჰომოსექსუალიზმი კანონგარეშედ გამოაცხადეს. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ იმისთვის, რომ ჰომოსექსუალებმა არაბულ მიწაზე ფეხი არ დადგან, საზღვარზე სამედიცინო შემოწმება დაწესდება, რათა **"დეტექტორით"** დადგინდეს, გეია თუ არა ადამიანი.

ჰომოსექსუალები ყველაზე მეტად ისლამურ სახელმწიფოებში ცხოვრებას ერიდებიან, რადგან არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს აქ ხშირად სიკვდილით სჯიან. გთავაზობთ საგანგაშო შედეგებს, სადაც ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რა მეთოდებით უსწორდებიან არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს.

ირანი: 1979 წლიდან ირანის მთავრობამ 4 000 ადამიანი, რომელიც ჰომოსექსუალურ აქტში იყო შემჩნეული სიკვდილით დასაჯა. არასრულწლოვანებს კი 74-ჯერ გაშოლტვა მიესაჯა.

საუდის არაბეთი: ქვეყანაში ჰომოსექსუალებს სიკვდილით სჯიან. ამასთან, მთავრობის გადაწყვეტილებით, ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი ტიპის სასჯელია დაწესებული: ფულადი ჯარიმა, დაპატიმრება, გამათრახება.

სუდანი: პირველ ჯერზე გეებს ამათრახებენ. თუ მსგავს საქციელში კიდევ ერთხელ შენიშნავენ, სიკვდილით სჯიან. გაუთხოვარ გოგონას ჰომოსექსუალურ საქციელში შემჩნევისას 100-ჯერ გამათრახებით სჯიან. ლესბოსელ ქალს პირველ ჯერზე 1000-ჯერ ამათრახებენ, ან ქვით ქოლავენ.

იემენი: იემენში შარიათის მკაცრი კანონები მოქმედებს. არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს როზგავენ და სიკვდილით სჯიან.

მავრიტანია: მავრიტანიის ისლამურ რესპუბლიკაში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი შარიათის კანონებს ზედმიწევნით იცავს. ქვეყანა ჰომოსექსუალებისთვის ყველაზე საშიში რეგიონია. აქ, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებისთვის მხოლოდ ერთი სასჯელია – სიკვდილი. სიკვდილის დასჯაში ადგილობრივები მონაწილეობენ და დამნაშავეს ქუჩაში ქვებით ქოლავენ. ეს კანონი 1983 წლიდან მოქმედებს.

იუმორი

ორი ახალგაზრდა საუბრობს:
– არა, მე პლანს აღარ მოვწევ.
– რატომ, ძმაო?
– მაშტერებს!
– კი არ გაშტერებს, აზრზე მოჰყავხარ და ხვდები, რა შტერიც ხარ!

* * *

წითელქუდა ეკითხება ბებიას:
– ბებო, ბებო, რატომ გაქვს ასეთი გრძელი ცხვირი, ხშირი წარბები და ულვაშები?
– იმიტომ, რომ სომეხი ვარ!

* * *

ფსიქიატრიულში პალატებს ამოწმებენ. ჩაუარეს ერთ პალატას და ექიმმა შემმოწმებელს გადაულაპარაკა:
– ამ პალატაში წევს კაცი, რომლის ცოლიც სხვას გაჰყვა.
გაიარეს ცოტა და ახლა სხვა პალატას მიადგნენ. ექიმმა კვლავ გადაულაპარაკა:
– ამ პალატაში კი, ის "სხვა" წევს!

* * *

მამაკაცი ნათელმხილველთან მიდის და ეკითხება:
– შეგიძლიათ საშინელი ჯადოს მოხსნა?
– დიახ. იცით კი, რა სახის ჯადოა და ვინ გაგიკეთათ? – ეკითხება ნათელმხილველი.
– ერთი ალქაჯი იყო ამ 30 წლის წინ, რომელმაც შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: "დღეიდან თქვენ ცოლქმრად გაცხადებთ..."

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ძობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge